გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N4 (9291) 10 თებერვალი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

ფული ჩვენი, საქმე თქვენი!

3

6

გეოგრაფები სამტრედიაზე მალე ახალ წიგნს გამოსცემენ

ბაში, იანეთი, ღიღი ჯიხაიში

4

სინათლე ჩვენს ქუჩებში

3

სოფლის პროგრამაში ჩადებული სურვილები

2

"რამდენიმე დღე უსადილოდ, საუკუნედ ერჩენებათო"

კორმაღალში გზა შეკეთდა

4

სამტრედიელ "ჩერნობილელებს" თავდაცვის ვეტერანის წოდებას ანიჭებენ

5

რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა იწყება

1 თებერვალს წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

6

"წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებავს, სიბერეს ამხიარულებს"

8

საქმიან ვითარებაში

ლევან გაბეჩავა

ჩატარდა 8 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. ბატონმა ნუგზარმა შეკრებილთ წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღე მიულოცა და ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და გამთლიანების სურვილი გამოთქვა.

დღის წესრიგით დახუნძლულ საკრებულოს ამ სხდომაზე ძირითად განსახილველ საკითხებად გამოტანილი იყო საკითხი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მოიჯარეებისათვის გარკვეული ვადით გადაცემისათვის, მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის დადგენას რომ ითვალისწინებდა. აგრეთვე, ქალაქ სამტრედიაში გარკვეული რაოდენობის ელექტროგადამცემი ბოძების პირდაპირი განკარგვის წესით შპს "სილქნეტისა" და "დუბლინისათვის" სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და წლიური საფასურის დადგენა.

მომხსენებლები ამ და სხვა საკითხების ირგვლივ ბატონები შალვა არზუმანიანი, მერაბ უღრელიძე და ქალბატონი მანანა სირბილაძე გახლდათ.

"კარგი იქნება და აუცილებელია, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საკრებულოზე ის პირები იყვნენ წარმოდგენილები, რომელთაც გარკვეული ვადით სასოფლო-სამეურნეო, თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები უნდა გადაეცეთ. ეს გაზრდის მათ მოტივაციას და პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის წინაშე." _ ასეთი აზრი განავითარეს საკრებულოზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებმა, რასაც უმრავლესობიდანაც და თვით საკრებულოს თავმჯდომარეც დაეთანხმნენ. მოთხოვნის მართებულებას ჩვენც ვადასტურებთ, რამეთუ პირი თუ პიროვნებები, რომელ(ნ)იც იჯარით სამტრედიის სინამდვილეში საკმაოდ დიდი მიწის მფლობელი ხდება, ვალდებული უნდა იყოს შემდგომი საქმიანობის შესახებ ესაუბროს, მოახსენოს საკრებულოს და მედიის საშუალებით ამცნოს მოსახლეობას.

საქმიანი დიალოგი, ცხარე კამათი, ერთი სიტყვით, დემოკრატიისათვის დამახასიათებელი ნიუანსებით წარიმართა 8 თებერვალს საკრებულოს სხდომა.

"რამდენიმე დღე უსადილოდ, საუკუნედ ეჩვენებაო"

ნინო ნანიტაშვილი

ამ დაწესებულების არსებობა მარტო იმით არის გამართლებული, რამდენჯერაც არ უნდა გაესაუბრო ბენეფიციარებს, იმდენჯერ შეეცდებიან ჩვენს დარწმუნებას, რომ არა უფასო სასადილო, მათ ხორცის გემო დავიწყებული ექნებოდათ.

ლეილა თავაძე, უფასო სასადილოს ბენეფიციარი: "10 წელია დავდივარ ამ სასადილოში. მე და ჩემი შვილი, კმაყოფილებას გამოვთქვამთ. სოციალურად დაუცველები ვართ, არ გვყოფნის ჩვენი შემოსავალი, თევზი და ხორცი რომ ვიყიდოთ. ეს სასადილო მეხმარება კვებაში. მადლობა მინდა, გადავუხადო ქალბატონ მზევინარ ბოხუას და სასადილოს მომსახურე პერსონალს."

მზევინარ ბოხუა, "სახლი თანადგომას" დირექტორი: "ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა სადილის და საშობაო საჩუქრის დაგვიანება. ადრე რომ შეიძლებოდეს ტენდერის დაწყება, უკეთესი იქნება, საცოდაობაა ამ ადამიანების საკვების გარეშე დატოვება. სოციალურად დაუცველებს არ აინტერესებთ შენი ტენდერი. გვაკითხავენ სამსახურში. გვეკითხებიან მუდმივად: როდის დაიწყებს სასადილო ფუნქციონირებას. მივხვდი, რა საჭირო ყოფილა ის ადგილი, სადაც ესენი სადილობენ. მუნიციპალიტეტის მერის და მისი მოადგილის, ვალერიანე ფოცხვერიასა და დავით ბახტაძის, ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნუგზარ ჯამბურიასა და მოადგილის კობა ძიძიგურის მხარდაჭერას ჩვენ მუდმივად ვგრძნობთ. "იანვარში სადილის დაგვიანებას "სახლი თანადგომას" ბენეფიციარები უსაშველოდ განიცდიან და რამდენიმე დღე უსადილოდ საუკუნედ ეჩვენებათ."

სადილის დასრულების შემდეგ უფასო სასადილოში ბენეფიციარებს 1 თებერვალს ტრადიციული საშობაო ამანათები გადასცეს. როგორც "სახლი თანადგომას" დირექტორმა მზევინარ ბოხუამ აღნიშნა, ტენდერმა საჩუქრის დაგვიანებაც გამოიწვია.

ვაშლი, კანფეტი და ლიმონათი _ საშობაო ამანათი 134 ბენეფიციარისთვის მომზადდა. მათთვის განკუთვნილი ტკბილეულობა უმრავლესობამ სადილის დასრულებისთანავე გაიტანა, ნაწილი კი დღის ბოლომდე გაიცა.

"ხვალიდნელი დღის გათენება გვიხარია, ვიღაც რომ ზრუნავს ჩვენზე. ამ სასადილოში ყველაფერი საუკეთესო კეთდება, არის სანიმუშო სისუფთავე და გულისხმიერი მოპყრობა." _ "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა უფასო სასადილოს ბენეფიციარმა მზია ხუჭუამ.

უფასო სასადილოს ბენეფიციარები დირექტორის, მზევინარ ბოხუასა და უფასო სასადილოს პერსონალის მიმართ კმაყოფილებას ამჯერადაც გამოხატავდნენ.

გამწვანების გაახლების სამუშაოები დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

გეგმიური სამუშაო შეასრულა 7 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სამსახურმა. პროგრამის მიხედვით ქალაქის ტერიტორიასა და მუნიციპალიტეტის პერიფერიებში საგაზაფხულო რგვა-განაშენიანება დაიწყო, რომელიც 15 მარტამდე გაგრძელდება. ზამთრის სტიქიის შედეგად სამტრედიას, ქალაქად და სოფლად გამოაკლდა ხე-ნარგავები, რასაც ახლით ანაცვლებენ. ძირითადად გათვალისწინებულია უნიკალური ჯიშის ნერგები, მათ შორის, შოკოლადის, საპნისა და უნაბის ხის ნერგები, ასევე, ხეყვავილების ნერგები.

"გამწვანების, გალამაზების კუთხით ჩვენს მუნიციპალიტეტში შეუქცევადი პროცესი მიმდინარეობს ამ მიზნით 7 თებერვალს 70 ძირი ერთეული ნერგი იქნა განთავსებული ქალაქის ცენტრალურ უბნებში. საგაზაფხულო რგვის პერიოდში გათვალისწინებული გვაქვს, გამწვანების ზოლები 300-მდე ძირი სხვადასხვა ჯიშის ხე-ნარგავებით შევავსოთ." _ განაცხადა "სამტრდიის მაცნესთან" კომენტარში გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორმა, ელგუჯა კალაძემ.

გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურს ილორში მდებარე დენდროლოგიური პარკი გააჩნია, საიდანაც ხდება ნერგების გადმოტანა და დარგვა.

წლის განმავლობაში 2-3-ჯერ გამწვანების აქციას მოსახლეობა მართავს. ამ პროცესებში აქტიურად ერთვებიან, როგორც ადგილობრივები, ასევე უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ნატალია ნიკურაძის ინიციატივითა და დაფინანსებით თბილისისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე 50 ძირი უნიკალური ჯიშის ნაძვის ხის ნერგები დაირგო.

ფული ჩვენი, საქმე თქვენი!

თეა ბაბუნაშვილი

ნაბაკევის თემის სოფელი ჩხენიში ერთ-ერთია იმ 250 სოფელში, საკუთარი ფეხით რომ შემოიარა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა შავლეგო ტაბატაძემ ინფრასტრუქტურისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილთან ერთად. ეს რაოდენობა ნახევარია იმ 554 სოფლისა, იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში რომ არის.

სტუმრობის მიზეზი ყველგან საერთოა _ სახელმწიფოს მიერ სოფლის პროგრამებით გამოყოფილი თანხის განკარგვის წესი და შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტების განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ისევ რამდენიმე წლის წინ სოფლის პროგრამები შეაჩერა სახელმწიფომ, იგი გაორმაგებული დაფინანსებით აღდგა.

ნაბაკევის თემში მერის რწმუნებულის, ოთარ წულეისკირის ორგანიზებით გამართულ სოფლის ყრილობაზე შეკრებილმა ჩხენიშელებმა, სტუმრებს პრობლემები გააცნეს და სოფლის საჭიროებებიდან სამი ძირითადი საკითხი პრიორიტეტად დაასახელეს. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გადაწყდა, რომ ჩხენიშისთვის პროგრამით განსაზღვრული 16 ათასი ლარი გარე განათებისა და სკვერის მოწყობას, ასევე, სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწესრიგებას დაახარჯონ. როგორც გაირკვა, სოფელში მწვავედ დგას სანიაღვრე არხების გაწმენდა-აღდგენის საკითხი. მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილმა ამ პრობლემის მოგვარება, ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაწყებული კიდევ ერთი პროექტის ფარგლებში, აღუთქვა მათ. ეს პროგრამა სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების დაფინანსებას გულისხმობს. სანიაღვრე არხები ჩხენიშში შესაძლებელია ამ პროგრამით მოწესრიგდეს.

იმერეთის გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე საუბრობდა იმაზე, რომ: ''გარდა იმ ჯგუფისა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ და დღეს აქაა, კიდევ ორი ჯგუფი, ჩემი მოადგილეების ხელმძღვანელობით, იმერეთის სოფლებს მოივლის. ამგვარი შემოვლები ემსახურება იმას, რომ ჩვენ გვქონდეს აქტიური კომუნიკაცია მოსახლეობასთან. ჩვენი მიზანია, შევქმნათ საინფორმაციო ბადე, რაც გაგვიადვილებს იმ პრობლემების უკეთ გამოვლენას, მოსახლეობას რომ აწუხებს, გამოყოფილი თანხები მათ სურვილებს მოვარგოთ და დაგეგმარება შემდგომი საჭიროებებისა სწორედ ასე მოვახდინოთ.''

ჩხენიშელებისთვის განსაკუთრებით სასიამოვნო აღმოჩნდა, რომ ილია ბეგიაშვილი მათი სოფლის მკვიდრის, პროფესორ რეზო სალაყაიას სიძე აღმოჩნდა. მან თავის მხრივ ჩხენიშში არაერთგზის სტუმრობა და აქაური სითბო გაიხსენა. რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საჭიროებას, აღნიშნა: ''პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერი პროგრამისთვის წინა წლებში გამოყოფილი თანხა გაორმაგდა. და ეს იმიტომ, რომ იგი იმედიანი პროექტია, სამომავლო საჭიროებებზე გათვლილი. ეს პროექტი ეფექტურია ორი მიზეზის გამო, ერთი გახლავთ ის, რომ მუნიციპალიტეტები უფრო დიდი პროექტების დაფინანსებით არიან დაკავებულები და სოფლების შედარებით მცირე საჭიროებებისათვის ნაკლებად იცლიან. მეორე ისაა, რომ ამგვარ განხილვებში მოსახლეობა თავადაა ჩართული და ეს ერთგვარ ხიბლს სძენს მას. დავამატებ იმასაც, რომ ამ პროგრამის სხვა პერიოდის მიმდინარეობისგან განსხვავებით, ამჯერად ჩვენ გაცილებით გავაადვილეთ შესყიდვების ტექნოლოგია. საქმეში ჩახედული ადამიანი უფრო მიხვდება რასაც ვგულისხმობ შესყიდვების გამარტივებაში. ამჯერად იგი გაცილებით მოქნილი იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენ მოვედით ფულით და ამიერიდან თქვენ გადაწყვიტეთ, რა უნდა გააკეთოთ.''

მინისტრის მოადგილემ სტიქიის სალიკვიდაციო პროგრამასა და მისი დაფინანსებით შესასრულებელ სამუშაოებზეც ისაუბრა: ''ჩვენ მთაგორიანი ქვეყანა ვართ და ხშირია ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზიანი. გადავწყვიტეთ, ისეთი პროგრამა შეგვემუშავებინა, ზარალს მინიმუმამდე რომ დაიყვანს, ან სულაც თავიდან აგვაცილებს. სტიქიით მიყენებული ზარალის პრევენციისთვის შეიქმნა სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი, რომლითაც შესაბამისი სამუშაოები დაფინანსდება. იმ საკითხის მოგვარება, ამ კონკრეტულ შეხვედრაზე რომ დააყენა მოსახლეობამ და სანიაღვრე არხების გაწმენდას გულისხმობს, სწორედ ამ პროგრამით არის შესაძლებელი და ამაზე პირადად ვიზრუნებ.''

ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილესთან ერთად შეხვედრას რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროექტების საკოორდინაციო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი თოფურია ესწრებოდა. მან იმ საკითხებში ჩაახედა მოსახლეობა, რაც მისი სამსახურის პრეროგატივაა.

გარდა იმ პრობლემებისა, რისი მოგვარებაც სოფლის პროგრამის ფარგლებში გადაწყდა, კიდევ დარჩათ ჩხენიშელებს მოსაგვარებელი საკითხები, რომელთა გადაჭრაში დახმარებას ადგილობრივი მერიის წარმომდგენლები დაჰპირდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სოფელს თანხა არ ეყოფა პროგრამის

ფარგლებში დასაფინანსებელი სასაფლაოსთან მისასვლელი გზის დასაგებად, გუბერნატორმა დანაკლისის დამატების პირობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ ჯამბურიას, დაადებია. გუბერნატორმაც ურჩია და შეკრებილ მოსახლეობასაც კარგად მოეხსენებოდა, რომ ბეტონის გზის დაგება სოფლებში უფრო გამართლებულია, რადგან ასფალტისგან განსხვავებით, იგი უფრო მტკიცეა.

სოფლის პროგრამაში ჩადებული სურვილები

თეა ბაბუნაშვილი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე მუშაობა ინტენსიურად დაიწყო სამტრედიის მუნიციპალიტეტში. პირველი ეტაპი იმ სამუშაოების პრიორიტეტების დალაგებაა, ამ პროგრამით რომ უნდა დაფინანსდეს. ღანირის თემში მუნიციპალიტეტის მერის იმდღევანდელი სტუმრობაც ამ საკითხით გახლდათ განპირობებული. სოფლის კრებაზე შეკრებილ ღანირელებთან ვალერიანე ფოცხვერიამ ყურადღება როგორც უკვე შესრულებულ, ისე შესასრულებელ სამუშაოებზეც გაამახვილა. ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ღანირს ისეთი საბავშვო ბაღი აქვს, რომ მუნიციპალიტეტის სტუმრები მის სანახავად და თავმოსაწონებლად ხშირად მოჰყავთ. სოფელ ღანირისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე ელიავას მინდვრის კეთილმოწყობასაც შეეხო და დასძინა, ერთ დროს ეს ტერიტორია ამ სოფლის ცენტრი იყო და სურვილი აქვთ ახლაც დაუბრუნონ მას ის დანიშნულება შესაბამისი იერსახით, ისტორიულად რომ ჰქონდა.

ბუნებრივია, სოფლის ყრილობას თემში გამგებლის წარმომადგენელი ირაკლი გაბელაია და დეპუტატი ადგილობრივ საკრებულოში, ბადრი შენგელია ესწრებოდნენ. მოსახლეობასთან შეთანხმებით ღანირის თემისთვის გამოყოფილი 20 ათასი ლარიდან მოწესრიგდება სველი წერტილები საექიმო ამბულატორიაში, მოეწყობა გარე განათება ცენტრალურ გზაზე და გაიწმინდება სანიაღვრე არხი სკოლის მიმდებარედ.

სველი წერტილის მოწესრიგება სამედიცინო ამბულატორიასა და ადმინისტრაციული სახლის ტერიტორიაზე, მართლაც აქილევსის ქუსლი გახლდათ ღანირისთვის. ამის დასტურად რამდენიმე თვის წინ აქაური ქალბატონის ხმამაღლა ნათქვამი საყვედურის შეხსენებაც საკმარისია ჩვენი მკითხველისა და სოფლის ადმინისტრაციისთვის.

პრობლემების ჩამონათვალი საკმაოდ ჰქონდა მოსახლეობას, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერი მათი სხვა საშუალებით მოგვარებას დაჰპირდა მათ: ''ამჯერად თანხა რაზეც გვეყოფა, ის გავაკეთოთ და ისე, კვლავ მიბრუნება რომ არ დაგვჭირდეს. ეტაპობრივად სხვა საქმეებსაც მივხედავთ, ჩვენც ვიცით, რომ ეს თანხა ზღვაში წვეთია, საჭიროა გაცილებით მეტი, თანხაცა და მონდომებაც!''

ღანირის თემში შემავალ სოფელ ჭაგანს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 16 ათასი ლარი ერგო. ასწლოვანი ხეებით დაბურულ სკოლის ეზოში, ღია ცის ქვეშ შეიკრიბნენ ჭაგნელები. ისე აქაც, როგორც ღანირში, თხოვნა-მოთხოვნა საკმაოდ ჰქონდა მოსახლეობას, მაგრამ 16 ათას ლარში მხოლოდ ერთი სურვილი ჩაეტია _ ჭაგნელები, რადგან თანხა არცთუ ისე დიდია, მხოლოდ გარე განათების საკითხს მოაგვარებენ. ეს წელს, შემდგომში კიდევ სხვას მიადგებიან გასაკეთებლად.

სოფელი კი, სოფელი და სოფლელები მოტოვებულ ეზო-კარმიდამოზე სწუხდნენ, ასე მრავლად რომ არის არა მხოლოდ ჭაგანში, საქართველოს ყველა სოფელში. ჭაგანს ყველაზე მეტად ჭაგნისა აწუხებდა. ჰოდა, იქნებ მოვაწესრიგოთ სოფლები, რომ უფრო ''დამაგრდეს'' ახალგაზრდობა დედულ-მამულში, რამდენჯერმე გაგვიმეორა ქუთაისიდან 10 წლის წინ საკუთარ კარმიდამოში მობრუნებულმა ჭაგნელმა, სახელი და გვარი რომ არგაგვიმხილა.

ჭაგანშიც, ისევე როგორც სხვა სოფლებსა და თემებში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტები განსაზღვრულია. ახლა ჯერი მათ შესრულებაზეა, რასაც წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს!

ბაში, იანეთი, დიდი ჯიხაიში

სინათლე ჩვენს ქუჩებში

ლევან გაბეჩავა

როგორც ვიუწყებოდით მცირეოდენი შესვენების შემდეგ, კვლავ ამოქმედდა სოფლის მხარდამჭერი პროგრამები.

7 თებერვალს მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ვალერიანე ფოცხვერია მედიის თანხლებით, სოფელ ბაშს ეწვია და სოფლის კულტურის სახლში შეკრებილთაგან იმ საკითხების შესახებ მოისმინა, ადგილობრივებს პრობლემად რომ მიაჩნიათ და სამართლიანადაც.

ჩვენი მკითხველებისა და საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პრობლემა, ბაშის ჰესს რომ უკავშირდება, ამჯერადაც განსჯის საგანი გახდა.

სოფლის სახელით ბატონმა რომან ნუცუბიძემ შეკრებილთ და მუნიციპალიტეტის მერს იმ წერილის შინაარსი გააცნო, პრემიერის სახელზე რომ აგზავნის. საკითხში გუბერნატორი, პარლამენტის თავმჯდომარე და მუნიციპალიტეტის პირველი პირებიც ჩართეთო, ურჩია ბატონ რომანს მერმა.

საინტერესოდ ისაუბრა სოფლის წინაშე არსებული პრობლემების შესახებ, სოფლის ყოფილმა ხელმძღვანელმა ქალბატონმა ბათურა ტყეშელაშვილმა. ახალგაზრდებმაც თქვეს ახალგაზრდულ (და არა მარტო) პრობლემებზე და მერს შესაძლებლობის ფარგლებში მათი მოგვარება სთხოვეს. დაანონსდა უახლოეს პერიოდში სოფელ ბაშში მოსახლეობის ყრილობის გამართვის სურვილიც, რაზედაც მუნიციპალიტეტის მერმა მზაობა გამოთქვა.

გეზი იანეთისაკენ ავიღეთ. სოფლის ადმინისტრაციული სახლის ერთ-ერთ ფლიგელში განთავსებულ საბავშვო ბაღში ცეროდენები თბილ სადილს შეექცეოდნენ. აქაც იგივე პრობლემებია რაც ქვეყანაში, მუნიციპალიტეტში.

სამტრედიაში, ზოგადად ქვეყანაში მასობრივი უმუშევრობის ფონზე ხელისუფლებისაგან გაღებული ყოველი თეთრის მნიშვნელობაზე თავად მუნიციპალიტეტის მერი ესაუბრა შეკრებილთ.

დიდი ჯიხაიში. მოსახლეობის ერთი ნაწილი აქაც სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტის განსაზღვრისათვის შეკრებილიყო. მიუხედავად იმისა, რომ (სამწუხაროდ) სამივე სოფელში მიცვალებული იყო, ხალხმა დრო მაინც გამონახა და უყურადღებოდ არც ადგილობრივ ხელისუფალთა თხოვნა დატოვა, შეკრებილიყვნენ და პრიორიტეტებზე ემსჯელათ. შესაბამისად სოფელ ბაშში რამაზ კაშია და კოტე ნაცვლიშვილი, იანეთში კახა კოპალეიშვილი და ვაჟა კოხრეიძე, დიდ ჯიხაიშში – ნუგზარ ნუცუბიძე და გიორგი ლეჟავა ესწრებოდნენ შეხვედრებს.

სამივე სოფელში პრიორიტეტულად ამ ეტაპზე გარე განათების მოწყობა დასახელდა.

წელიწადში ყოველ დღე 24 საათიან რეჟიმში თქვენ გვერდით, თქვენს სამსახურში გვიგულეთ ხელისუფლება და ხელისუფალნი, ჩვენ თქვენ გემსახურებით. საოცრად უშუალო იყო შეხვედრებზე მუნიციპალიტეტის მერი.

როგორც ბაშში, ისე იანეთსა და დიდ ჯიხაიშში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით ამჯერზე 20 ათასი ლარია განსაზღვრული (თითო სოფელს 20 ათასი ლარი).

საქმიან ვითარებაში წარიმართა მერის შეხვედრა როგორც ბაშსა და იანეთში, ასევე, დიდ ჯიხაიშში.

თანხა არც ისე დიდია, მაგრამ...

თეა ბაბუნაშვილი

ამინდმაც ხელი შეუწყო და სოფლის ყრილობა მელაურის თემში სოფლის ადმინისტრაციული სახლის ეზოში პირდაპირ ღია ცის ქვეშ გაიმართა. ასწლოვანი ხეების ჩრდილში ისაუბარეს იმაზე, რა სამუშაოები ჩაეტიათ იმ 12 ათას ლარში, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რომ გამოეყო მელაურის თემს. თუმცა, დაბეგვრის შემდეგ 12 ათასიდან რეალურად ასათვისებელი 9 ათასი დარჩებათ. თანხა არც ისე დიდია, პრობლემა გაცილებით მეტი, მაგრამ როგორც მუნიციპალიტეტის მერი აღნიშნავდა: "ეტაპობრივად ყველაფერი გაკეთდება. ამჯერად აქცენტი განსაკუთრებულ საჭიროებებზე ავიღოთ. სახელმწიფო ოჯახის მოდელია. ოჯახშიც ასეა ადამიანი, როცა ფული ცოტა აქვს და საქმე ბევრი, უპირველესად აუცილებლად საჭიროს აკეთებს." მერე საუბარს ხუმრობა შეაპარა ვალერიანე ფოცხვერიამ: "ამჯერად არჩევნები არ არის და ცოტა ხანი დავისვენებთ მისგან. ასე რომ, ახლა თქვენს მოსასმენად მოვედით. შემდგომში გვინდა ისე ვიმუშაოთ, საარჩევნოდ თქვენი ხმა დასამადლებელი არ გვექნეს!"

რაც შეეხება ქვეყანაში დღეს არსებულ ნეგატიურ ფონს, როგორც არაერთხელ, ვალერიანე ფოცხვერიამ ამჯერადაც მედიაა დაადანაშაულა და მას მედია საშუალებების მიერ ხელოვნურად გამწვავებული უწოდა.: "არასდროს გავლანძღავ ჩემს წინამორბედებს, ყველა გამგებელს უნდოდა მის მუნიციპალიტეტში ყველაფერი კარგად ყოფილიყო. თუმცა უდავოა, ის მედია საშუალებები წინა ხელისუფლების დროს რომ იწყებდნენ გადაცემებს, ეს აშენდა, ის გაიხსნა, ეს მოგვარდა, ახლა იწყებენ ფრაზებით: ის მოკლეს, ის გაძარცვეს. ამიტომაცაა, რომ მოსახლეობამდე ნაკლებად მიდის გაკეთებული და მოგვარებული პრობლემების ჩამონათვალი."

მელაურის თემში მერის წარმომადგენელმა სოფიკო კიკაჩეიშვილმა მოსახლეობასთან შეთანხმებული პრიორიტეტები გააცნო მუნიციპალიტეტის მერს. მელაურისთვის სოფლის პროგრამით განსაზღვრული თანხა ამჯერად ადმინისტრაციულ სახლში განთავსებული ამბულატორიის მოწესრიგებას, მოსაცდელის შეკეთებას და მისი მიმდებარე ტერიტორიის გალამაზებას მოხმარდება. "გზის პრობლემა მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული აქვს მელაურის თემს, მოგვარებულია გარე განათების საკითხიც, მიეწოდება ბუნებრივი აირი. საქმეს რა დალევს სოფელში, მაგრამ აქცენტი ამჯერად იმ კუთხით ავიღეთ, სადაც უფრო გვიჭირს. სოფელს ექიმი ჰყავს, საჭიროების შემთხვევაში იგი სრული დატვირთვით ემსახურება აქაურებს. ამიტომ ამბულატორია უნდა განვაახლოთ. მოსაცდელის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, ახალგაზრდების მოთხოვნაა. სხვა ისეთი, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემები არ გვაქვს. სასურველია უფრო მაღალი სოციალური ფონი იყოს სოფელში, მაგრამ ეს დღეს ქვეყნისთვის მტკივნეული საკითხია, რომელსაც იმედია, მოევლება."

მელაურელებმა სანაგვე ურნის დადგმა სთხოვეს მუნიციპალიტეტის მერს, რაზეც საკითხის მოგვარების პირობა მიიღეს.

გარდა იმისა, რომ ამგვარ შეხვედრებს საქმიანი დატვირთვა აქვს, მოსახლეობა პირად პრობლემებზეც ესაუბრა ვალერიანე ფოცხვერიას. იგი მათ ყველა საკითხის უფრო საფუძვლიანად გაცნობას და შესაძლებლობების შემთხვევაში დახმარებას დაჰპირდა.

კორმაღალში გზა შეკეთდა

კორმაღალი ბოლო იყო, რომელიც რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით, დასაფინანსებელი ობიექტებიდან, გუშინ რომ დასრულდა. გზის დამამთავრებელი სამუშაოები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 31 იანვარს დღის მეორე ნახევარში მოინახულეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის რეგიონალური განვითარების ფონდის ტერიტორიაზე პროგრამით დასაფინანსებელი ყველა ობიექტი შარშან დეკემბრის ბოლომდე დასრულდა. დარჩენილი იყო კორმაღალი, სადაც 300 გრძივი მეტრი ასფალტობეტონის გზა მოეწყო. სამშენებლო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია "დაგი პლუსი" შეასრულა. კორმაღლელებმა მუნიციპალიტეტის მერს გარე განათების პრობლემა შეახსენეს, ვალერიანე ფოცხვერია თვლის, რომ მათთვის გაღმა ზონაში სასმელი წყალია პრიორიტეტული.

ნინო ნანიტაშვილი

რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა იწყება

"ის დისკომფორტი, რასაც ახლა სამტრედიის და ქუთაისის მოსახლეობა განიცდის..."

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა შავლეგო ტაბატაძემ, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორთან, გიორგი შუხოშვილთან ერთად მედიის წარმომადგენლებს სამტრედიასა და ქუთაისში არსებული ნაგავსაყრელები აჩვენა. ჟურნალისტები დეტალურად გაეცნენ იქ არსებულ მდგომარეობას.

შავლეგო ტაბატაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული: "მედიის წარმომადგენლებმა საკუთარი თვალით ნახეს, რა მდგომარეობაა სამტრედიისა და ქუთაისის ნაგავსაყრელებზე და როგორ ბინძურდება გარემო. მრავალი წლის მანძილზე ხდებოდა ნარჩენების დაწვა, მიმდინარე დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა ფანჯრებს საშინელი სუნის გამო დღესაც ვერ აღებს. ხედავთ, ამ ტერიტორიებზე ამჟამადაც განუკითხაობაა. დამეთანხმებით, რომ ასეთ ნაგავსაყრელებს სჯობია, ევროპული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელების მოწყობა, რომელიც იქნება ძალიან მაღალი გარემოსდაცვითი და ჯანდაცვის სტანდარტების. ის დისკომფორტი, რასაც ახლა განიცდის სამტრედიისა და ქუთაისის მოსახლეობა, აღარ იარსებებს. პროექტი, რომლის თანახმადაც რეგიონული ნაგავსაყრელი უნდა აშენდეს, ევროსტანდარტების შესაბამისია და ობიექტი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 700 000-მდე მოქალაქეს მოემსახურება".

ნაგავსაყრელების მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის შესახებ პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტი ითვალისწინებს ქუთაისში არსებული ე. წ. ნიკეას ნაგავსაყრელის დახურვას. მუნიციპალიტეტის ნარჩენების მოგროვებას, ქუჩების დასუფთავების სისტემის გაუმჯობესებას და ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობას.

პროექტი ხორციელდება ქართულ-გერმანული მხარეების ფინანსური თანამშრომლობით. ადგილობრივ კონტრიბუციასთან ერთად, დონორები არიან გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) და ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების ფონდის EU-NIFF გრანტი. პროექტის საერთო ინვესტიცია 26 მილიონი ევროა.

რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა ქუთაისთან ახლოს მიმდინარე წლის მარტში დაიწყება და დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდება. მშენებლობაზე, სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება.

ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული მყარი ნარჩენების მართვის კომპანია ახორციელებს, რომელიც 2012 წელს შეიქმნა. 2013 წლიდან დღემდე კომპანიის მფლობელობაში არსებული 54 ნაგავსაყრელიდან კეთილმოეწყო და შესაბამისობაში მოვიდა 31, ხოლო სტანდარტების შესაბამისად დაიხურა 23 ნაგავსაყრელი, ასევე მოეწყო ნარჩენების გადამტვირთი 5 სადგური.

ნარჩენების მართვის ახალი სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაში მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტებს, კერძო კომპანიებსა და მოსახლეობას. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა ნარჩენების შეგროვების, სეპარირებისა და რეციკლირების განვითარების ხელშეწყობა.

2019 წლიდან მუნიციპალიტეტებს გაჩნიათ ვალდებულება, შემოიღონ ნარჩენების ეფექტური სეპარირების სისტემა, რომელიც 2025 წლისთვის სრულად უნდა დაინერგოს. ახალი სისტემის გამართულად მუშაობისთვის ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება მოსახლეობის მიერ ნარჩენების სწორად სეპარირება და განვითარება. კომპანიები და კერძო სექტორი კი ვალდებულნი იქნებიან, წარმოებული პროდუქციის შეგროვებისა და რეციკლირების გარემოსთვის უსაფრთხო გზები გამონახონ.

"სისტემა სახელწოდებით" მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება" საქართველოში მომავალი 2 წლის განმავლობაში დაინერგება.

ამ კუთხით ქვეყნის მასშტაბით 2023 წლისთვის არსებულ, ძველ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებს, 8 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი ჩაანაცვლებს. ამ პროექტის განხორციელებით გაუმჯობესდება რეგიონების საცხოვრებელი პირობები.

ნარჩენების მართვის კოდექსის და ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ნარჩენების მართვის სისტემა იქნება ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი". _ განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მყარი ნარჩენების კომპანიის დირექტორმა გიორგი შუხოშვილმა.

სამტრედიელი "ჩერნობილელებს" თავდაცვის ვეტერანის წოდებას ანიჭებენ

ნინო ნანიტაშვილი

უკრაინაში სამხედრო საველდებულო სამსახურს იხდიდა, როცა ჩერნობილში ატომურ სადგურზე ავარია მოხდა. სამტრედიელი 48 წლის დავით გაბუნია ვეტერანის სტატუსის მიღების შემთხვევაში ისარგებლებს იმ შეღავათებით, რითაც ომისა და საბჭოთა ძალების ვეტერანები სარგებლობენ: პირველ რიგში, გაუმჯობესებული სამედიცინო მომსახურებით, ხოლო 65 წლის ასაკში, პენსიაში გასვლის შემთხვევაში 22 ლარიანი დანამატით.

დავით გაბუნია, ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირი: " მაშინ 18 წლის ვიყავი, ჯარში ვმსახურობდი. 11-თვე ჩვენი დანაყოფი შემოსაზღვრულ ზონას ყარაულობდა, გარეშე პირები იქ არ შეგვეშვა. რომ ჩამოვედი უკრაინიდან, პენსია დამინიშნეს. თავიდან 45 ლარს ვიღებდი. ჩვეულებრივი პენსია 15 ლარი იყო, ჩვენ განსხვავებული გვქონდა _ 45 ლარი. ერთი პერიოდი მოგვიხსნეს, მერე თბილისში გაგვაგზავნეს, სისხლის გადასხმის ინსტიტუტში და დაგვინიშნეს მუდმივი პენსია. დღეს მოვედით იმისთვის, რომ ანკეტა შევავსოთ, მივიღოთ თავდაცვის ვეტერანის სტატუსი, რის შემდეგაც 22 ლარი დაგვემატება".

ამ პრივილეგიით, სამტრედიელი ჩერნობილელების სიტყვები რომ გავიმეოროთ, ქუთაისელები დიდი ხანია სარგებლობენ. რაც შეეხება მათ შორის ყველაზე აქტიურს, კოტე იმნაძემ ეს ამბავი შარშან დეკემბერში შემთხვევით გაიგო.

კოტე იმნაძე, ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე: "ჩვენთვის ეს სიახლეა, თუმცა ამის შესახებ ბრძანება ერთი წლის წინ გამოსულა. ქუთაისელები ამ სიკეთით ერთი წელია, რაც სარგებლობენ. სამტრედიელებმა კი შემთხვევით გავიგეთ შარშან დეკემბერში".

კარპეზ ნიკოლეიშვილი, ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირი: "ქუთაისი ცენტრია. ჩვენ ქუთაისში რომ ვიყოთ, ყველფერს თავის დროზე გავიგებდით. პარლამენტსაც შევაწუხებდით. საბჭოთა კავშირის დროს მოსკოვში ჩავდიოდით და საქმეს ვაგვარებდით. იმის შემდეგ ჩვენ აღარავის ვჭირდებით".

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს

უფროსი გელა ცინაძე 5 თებერვალს სამტრედიის მერიაში ერთი სამუშაო დღით იმყოფებოდა, რათა ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში სამტრედიელ მონაწილეთა ანკეტები ადგილზე შეევსო და მათთვის თავდაცვის ვეტერანის მაძიებლის სტატუსი მიენიჭებიათ.

გელა ცინაძე, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის იმერეთის სამმართველოს უფროსი: "სიახლე არ არის. ეს საქმე კეთდებოდა და კეთდება ყოველდღიურად. ოღონდაც ჩვენ ჩამოვედით ადგილზე, სამტრედიაში, რადგან აქაური ვეტერანების ჯგუფი 20 კაცზე მეტია. ისინი რომ არ შეგვეწუხებინა ქუთაისში, სამმართველოში ჩამოსვლით, ჩვენ ჩამოვედით და ანკეტებს, ვეტერანობის მაძიებლობაზე ადგილზე ვუვსებთ. მიიღებენ თავდაცვის ვეტერანის სტატუსს და პენსიაზე დანამატი ექნებათ 22 ლარი, ასევე, მიიღებენ ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებულ პაკეტს."

იმის გარდა, რომ თავდაცვის ვეტერანობას დაგვიანებულად იღებს, კოტე იმნაძე ზოგადად უკმაყოფილოა ე. წ. ჩერნობილელების არასათანადო სამედიცინო მომსახურების გამო. თავდაცვის ვეტერანობის მაძიებელი ამბობს, რომ ისინი სახელმწიფოსგან მიტოვებულები არიან.

კოტე იმნაძე, ჩერნობილის ატომურ სადგურზე სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე: "ჩვენ ვართ ყველასგან მიტოვებული. არც უფროსი გვყავს, არც უმცროსი. ჩვენ თვითონ ვართმევთ თავს რაღაცეებს: გვაქვს მიმოწერა ჯანდავის სამინისტროსთან, პასუხს არავინ გვცემს, ერთი წელია, იაპონიის საელჩოში წერილი გვაქვს გაგზავნილი და იქიდან არაფერი გვესმის. გრანტის თაობაზე ვწერდით, ექიმები ჩამოეყვანათ. რადიაციით დასივებულ ავადმყოფებს საქართველოში ვეღარ მკურნალობენ, არც მედიკამენტებია, არც მკურნალობის ტექნოლოგია. ჯერ ქართულად მივწერეთ, ქართულად _ არაო, მერე ინგლისურად გადავგზავნეთ. წერილიც არ არის წაკითხული. ჩვენ გვინდა ხარისხიანი დახმარება და ვითხოვთ ისეთ ექიმებს, რომლებშიც ამ სფეროში ცოდნა გააჩნიათ. იაპონიაზე უკეთესი სახელმწიფო ამ დარგში არ არსებობს. გრანტებით შინაგან საქმეთა სამინისტრო სარგებლობს. დეკემბერში 96 ერთეული ელექტრო მანქანები აყიდინეს იაპონელებს, ჩვენი წერილი ჯანდაცვის მინისტრს მარტიდან მაგიდაზე ედო. დეპუტატის, გრიგოლ მიქელაძის მეშვეობით გადავეცით. მაინც არ ჭრის არაფერი".

სამტრედიელი ჩერნობილელების სახელმწიფოსაგან უყურადღებობას მერიის სოციალური სამსახურის უფროსი კატეგორიულად გამორიცხავს. ლევან ახობაძის ინფორმაციით მუნიციპალიტეტში ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე 45 პირიდან დღეს ცოცხალი 23-ია, თუმცა ყოველწლიური დახმარებით 45-ვე ოჯახი სარგებლობს.

ლევან ახობაძე, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი: "რაც შეეხება ძალოვანი ვეტერანის სტატუსის მინიჭებას, ეს ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივა არ არის, ამას ანიჭებს ვეტერანების სახელმწიფო დეპარტამენტი. ჩვენ რაც შეგვეხება: 2016 წლის 26 აპრილიდან ყოველწლიური დახმარება 10 ლარის ნაცვლად 200 ლარი გახდა. ყოველი წლის 26 აპრილს ვხვდებით ე.წ. "ჩერნობილელებს" და მათი ოჯახის წევრებს. ჩვენთვის ეს პირველად ცნობილი გახდა შარშან ნოემბერში, როცა ჩამოსული იყო დასავლეთ საქართველოს ჩერნობილელ ინვალიდთა კავშირის პრეზიდენტი ჯამბულ ჯიქია. აქ გავიგეთ, რომ არც ერთ სამტრედიელ ჩერნობილელს არ ჰქონდა ვეტერანის სტატუსი. ამის შემდეგ დავუკავშირდით ვეტერანთა სახელმწიფო სამმართველოს ხონისა და სამტრედიის წარმომადგენელს, ივანე ჯანჯღავას, ვთხოვეთ, სამტრედიელი "ჩერნობილელებისათვის" ანკეტების შესავსებად საჭირო საბუთების შეგროვებაში დახმარება. ბატონმა ივანემ გაითვალისწინა რა ჩერნობილელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამტრედიის მერიაში ვეტერანთა დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს ხელმძღვანელი გელა ცინაძე ჩამოიყვანა ჩვენთან და ადგილზე შეავსეს ანკეტები. დღეის მდგომარეობით 12 სამტრედიელ ჩერნობილელს შევსებული აქვს ანკეტა, რაც იმის წინაპირობაა, მათ მიენიჭოთ თავდაცვის ვეტერანის წოდება. ამდენად, ვთვლი, რომ სამტრედიაში ამ კატეგორიის ხალხი ადგილობრივ ხელისუფლებას მიტოვებული არ გვყავს. საერთო ჯამში 1100 ვეტერანია აღრიცხული, ყველაზე მეტ დახმარებას ჩერნობილის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეებს ვუწევთ".

1 თებერვალს წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე აღინიშნა



რავ ცოდა ლრმოვ, რავ ბევრი წიგნი...

ლევან გაბეჩავა

1 თებერვალს წიგნის კითხვის საერთაშორისო დღის აღნიშვნას თანდათან გამოუჩნდნენ მიმდევრები, რომელთა რაოდენობამ (100 სახელმწიფოში) 140 მილიონს გადააჭარბა.

სრულიად საქართველოში, სამტრედიის მუნიციპალიტეტშიც აღინიშნა ეს დღე. ტრადიციულად ხალხმრავლობა იყო მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში. საჯარო სკოლების მოსწავლეები, აბიტურიენტები, სტუდენტები, პედაგოგები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და, რაღა თქმა უნდა, ერთგული მკითხველები იმყოფებოდნენ აქ.

შეკრებილთ ბიბლიოთეკის დირექტორი, ქალბატონი ლამარა დუნდუა მიესალმა და მადლობა მოახსენა მობრძანებისათვის.

თამთა ჯულაყიძე, თამუნა ჯინჭველეიშვილი, ლუკა ტუღუში, მარი აბრამიშვილი, მარიამ ჩხაიძე, ბესო კახიანი, გოგა ქათამაძე, მეთერთმეტე საჯარო სკოლის მოსწავლეები... აი, არასრული ჩამონათვალი ახალგაზრდებისა, ქართველი თუ უცხოელი კლასიკოსებისა და საკუთარი ლექსებით რომ ჩაერთვნენ ღონისძიებაში. საკუთარი ლექსით წარსდგა დარბაზის წინაშე ქალბატონი მაყვალა ბოკუჩავა. უკვდავი გალაკტიონის ლექსით მიესალმა შეკრებილთ ჩვენი კოლეგა ქართული ლექსის მოტრფიალე, ქალბატონი ნათია ნაცვლიშვილი.

ამჯერადაც ღრმაშინაარსიანი გახლდათ პედაგოგ ქალბატონ ნინო ტონიას გამოსვლა. საინტერესოდ ისაუბრა წიგნის სამყაროში მიმდინარე სიახლეებსა და კითხვის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მნიშვნელობაზე სამკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა რუსუდან კახიანმა.

წიგნთან მეტი სიახლოვისაკენ მოუწოდა ახალგაზრდებს ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ბატონმა შუქრი ურუშაძემ. მსგავსი აქტივობები უფრო ხშირად და მასშტაბურად უნდა იმართებოდესო, აღნიშნა მან.

ერის წიგნიერების საქმეში სახელოვან წინაპართა ღვაწლზე გაამახვილა ყურადღება "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ.

საათზე მეტხანს ხმიანობდა დარბაზში ქართული (და არა მარტო) ლექსი...

შთამბეჭდავად აღინიშნა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე.

გეოგრაფიული ცვლილებები მოლოდინზე მეტი ხანგრძლივ წიგნზე გამოცემენ

ნათია ნაცვლიშვილი

"სამტრედიის მუნიციპალიტეტი" _ ასეთი იწერება სახელწოდება ახალი წიგნისა, რომლის გამოსაცემად უკვე დაიწყო მუშაობა მეცნიერთა ჯგუფმა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული დასახლებული პუნქტების კომპლექსური გეოგრაფიული კვლევა თსუ-ს გეოგრაფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორმა, გეოგრაფიის დოქტორმა გიორგი დვალაშვილმა და გეოგრაფიის მაგისტრმა, პედაგოგმა მედეა ვოვიშვილმა დაიწყეს.

მუნიციპალიტეტის კვლევის დროს ყურადღება გამახვილდება არსებული ობიექტების ტურისტული მიზნებით გამოყენების პერსპექტივებზე, აგრეთვე, ახალ ტურისტულ მარშრუტებზე, ცალკეულ დასახლებულ პუნქტებზე. მკვლევარები უკვე ეწვივნენ სხვადასხვა სოფელს, შეხვდნენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე სოფლის მცხოვრებთ, მათ კიდევ არაერთი შეხვედრა მოუწევთ მოსახლეობასთან.

''სამტრედიის მაცნეს'' თსუ-ს ასისტენტ-პროფესორმა, გეოგრაფიის დოქტორმა, გიორგი დვალაშვილმა განუცხადა: '' სამეცნიერო კვლევის დროს გამოიყოფა რამდენიმე ობიექტი, რომელიც წარდგენილი იქნება იმერეთის რეგიონში გამორჩეულ 100 ძეგლში, აღსანიშნავია ისიც, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის შესახებ რამდენიმე საინტერესო წიგნი, ბროშურა თუ სხვადასხვა სახის ნაშრომია გამოცემული, გამორჩეულია სამტრედიის ენციკლოპედიაც, გეოგრაფების მიერ გამოცემული წიგნი ცოტათი განსხვავებული იქნება წინამორბედ გამოცემებთან შედარებით. აგრეთვე, დაგეგმილია წიგნის სხვადასხვა ენაზე გამოცემა. მასში ცალკეული დასახელებული პუნქტები დახასიათებული იქნება თავისი ღირსშესანიშნავი ადგილების, ასევე, თითოეული უბნისა და კუთხის ტრადიციებისა და სახალხო დღესასწაულების მითითებით. წიგნს დართული ექნება ფერადი ილუსტრაციები, ფოტოსურათებისა და რუკების სახით, რაც, ავტორთა აზრით, ადვილად ხელმისაწვდომი იქნებ საზოგადოებისათვის. პროექტის მიზანია, მოხდეს სამტრედიაში არსებული კულტურული ძეგლების, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების, საინტერესო ინფორმაციების გეოგრაფიული შეფასება, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ეკოტურიზმის განვითარებას.''

წიგნი ღირსეული სამტრედიელის, მსოფლიო მოგზაურის, ჯუმბერ ლეჟავას, 80 წლის იუბილეს მიეძღვნება.

მეცნიერთა ჯგუფს კვლევის დროს ადგილებზე, დასახლებულ პუნქტებში დახმარებას უწევენ მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები სასოფლო თემებში, აგრეთვე, სოფლის დეპუტატები, სკოლის პედაგოგები და სოფლის უხუცესი მაცხოვრებლები. მასალების დამუშავებისას და დასახლებული პუნქტების ტურისტული ობიექტების დაზუსტებაში მკვლევარებს ეხმარებიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები. აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და საკრებულოს წევრებთან. პროექტის ავტორებმა მადლობა გადაუხადეს სამტრედიის თვითმმართველობას, რომლის გარეშეც აღნიშნული პროექტის განხორციელება რთული იქნებოდა.

ამ საინტერესო და მეტად აქტუალურ გამოცემას სპონსორობას ადგილობრივი წარმოშობის ბიზნესმენი გიორგი დალალიშვილი გაუწევს.

"რა? სად? როდის?" სასკოლო ლიგა სტარტს მეორე საჯარო სკოლაში აიღებს

ნათია ნაცვლიშვილი

17 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტარტს აიღებს ინტელექტუალური ჩემპიონატი სკოლებს შორის. "რა? სად? როდის?" სასკოლო ლიგა სამტრედიის ინტელექტკლუბის (კლუბის პრეზიდენტი გიორგი ჩაჩუა) ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის მერის (ვალერიანე ფოცხვერია) და კულტურის სამსახურის (უფროსი ნატალია მანჯგალაძე) თანადგომით გაიმართება. ტურნირის პირველ ლოკაციად სამტრედიის მეორე საჯარო სკოლა (დირექტორი თეა კარტოზია) შეირჩა. მონაწილე გუნდების დარეგისტრირების ბოლო ვადა 15 თებერვალია. თუ წინათ მსგავსი ტურნირები ორდღიანი იყო და მას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მასპინძლობდა, ორი წელია, ტურნირმა ფართო მასშტაბები შეიძინა. ისევე როგორც გასულ წელს, წლეულსაც მონაწილეებისათვის ოთხი ტური გაიმართება და ფინალისტი, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს გამოვლინდება.

ინტელექტუალურ შეხვედრებს, ტრადიციულად, გიორგი ჩაჩუა გაუძღვება, ჟიურის შემადგენლობაშიც, ტრადიციულად სამტრედიის ინტელექტკლუბის წევრები იქნებიან. როგორც ''სამტრედიის მაცნეს'' ინტელექტკლუბის წევრმა, ირაკლი ცირეკიძემ განუცხადა, შარშან თითოეულ ტურში 24 კითხვა დაისვა, წლეულს 36 კითხვა იქნება.

კითხვების პაკეტზეც ინტელექტკლუბის წევრებმა იმუშავეს. პირველი ტურის კითხვების ავტორები გიორგი ჩაჩუა და გიგა ჩალიგავა არიან, მეორე ტურის კითხვებზე ირაკლი ცირეკიძემ იმუშავა, მესამე ტურის კითხვების ავტორები მამუკა კიღურაძე და გიორგი ცაგარეიშვილი არიან, მეოთხე ტურის შეკითხვები კი, ლაშა ლორიამ და ლაშა ორმოცაძემ მოამზადეს.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ კითხვების თანაავტორები დღეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების წინ სწორედ მსგავს ინტელექტუალურ ტურნირებზე აქტიური მონაწილეობით გაიცნო საზოგადოებამ. დღეს მთელი ქართული ინტელექტუალური სამყარო იცნობს გიგა ჩალიგავას, გიორგი ცაგარეიშვილს, მამუკა კიღურაძეს... მეტიც, ეს ახალგაზრდები თავიანთ სასწავლებლებშიც ატარებენ სტუდენტურ ტურნირებს.

ვეფხია ნადირაძის მასტერკლასი მოსწავლეთა პარლამენტის წევრებისათვის

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტის წევრებმა ახალი პროექტის "შეხვედრები ღირსეულ სამტრედიელებთან" ფარგლებში სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრისა და თეატრის დირექტორს, ვეფხია ნადირაძეს, უმასპინძლეს. სტუმარმა მოსწავლეების საინტერესო შეკითხვებს აბსოლუტური გულწრფელობით და გულახდილობით უპასუხა. თანამედროვე თეატრის როლი, ახალგაზრდების დამოკიდებულება ამ კულტურული ფენომენისადმი, რამდენად მაღალია სამტრედიის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ინტერესი თეატრისადმი, რა მასშტაბისაა ამ ახალგაზრდების ჩართულობა თეატრალურ წარმოდგენებში..._ აი, საკითხები, რომელთა გარშემო ძალზე საინტერესო აზრების გაცვლა-გამოცვლა და საუბარი წარიმართა.

სტუმარმა ახალგაზრდებს უთხრა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღზრდილი არაერთი ახალგაზრდა გამხდარა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი. მასაც დაგვიანდა ამ ინსტიტუტში ჩარიცხვა, მაგრამ საყვარელი საქმისათვის ღირდა ლოდინი. მას ხომ ახლაც სცენის მტვერი საოცრად უყვარს. "იმდენი მტვერი მაქვს ნაყლაპი, მორჩილი ვარ ამ მტვრის". _ ამბობს ბატონი ვეფხია. გაიხსენა, რომ სკოლის დამთავრებისთანავე დააარსა იმჟამინდელ განათლების მუშაკთა სახლში ნორჩ შემოქმედთა წრე, მერე კი, ახალგაზრდული თეატრ-სტუდია. გაიხსენა ამავე სახლის სცენაზე დადგმული მისი სადებიუტო ნამუშევარი "უჩინმაჩინის ქუდი", სიამოვნებით იგონებს, რომ ბევრი ახალგაზრდა გამოსტაცა ქუჩას და დააკავა როლით. ის სპექტაკლი თურმე იმდენად პოპულარული იყო, მთელმა ქალაქმა ნახა, მას მეორე ნამუშევარი მოჰყვა _ ფსიქოლოგიური დრამა "ფრინველების საქორწინო ცეკვები." მოსწავლეები მის მიერ შესრულებული როლებითაც დაინტერესდნენ, აღმოჩნდა, რომ რეჟისორს უთამაშნია რამდენიმე თავის და სხვათა მიერ დადგმულ სპექტაკლშიც. მოსწავლეების და სტუმრის საერთო აზრი დაემთხვა, რომ მაყურებელი თეატრში არ დადის და მხოლოდ პრემიერებზე თუღა ივსება სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დარბაზი. "მის აღმატებულება მაყურებელს არაფერში ვადანაშაულებ, თეატრის ხიბლი იცით რა არის? ეს სინთეზური ხელოვნებაა, რომელიც ხელოვნების თითქმის ყველა დარგს აერთიანებს, ლიტერატურა არის ფუნდამენტი, მასზე შენდება თეატრალური ნაწილი, რომელსაც ჰქვია სპექტაკლი, შემოქმედებით ჯგუფში რეჟისორთან ერთად არიან მხატვარი, მუსიკოსი, ქორეოგრაფი, ერთ-ერთი უდიდესი კომპონენტია მისი აღმატებულება მაყურებელი." _ მიიჩნევს რეჟისორი. ჩვენს შეკითხვაზე, რამდენხნიანი პერსპექტივა შეიძლება იყოს კულტურის ცენტრის გათბობა, რეჟისორმა გვიპასუხა, რომ უახლოეს ხანში შენობის არათუ გათბობით უზრუნველყოფა, სრული რეაბილიტაცია იგეგმება. ვეფხია ნადირაძემ ისიც გაიხსენა, საყოველთაო სოციალური გასაჭირის, უგზობა-უშუქობის წლებში როგორ დააარსა 1994 წელს მხიარულთა და საზრიანთა კლუბი, თავადვე მოამზადა სცენარები ექვსი საშუალო სკოლის გუნდისათვის და რაიონში ცხოვრება გააქტიურა. მერე ამ საქმეში ჩაერთვნენ "ბეთჰოვენა", ნოდარ ზამთარაძე და სხვები... დარბაზში მყოფმა, ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ლილეს" სამხატვრო ხელმძღვანელმა, მამუკა მხეიძემ ახალ თაობას ინფორმაცია მიაწოდა, რომ ახლახან დედაქალაქში, თუმანიშვილის თეატრში დაიდგა ვეფხია ნადირაძის სპექტაკლი ჟან კოკტოს პიესის "ადამიანის ხმა" მიხედვით (მონოსპექტაკლში როლი სენაკის თეატრის მსახიობმა შეასრულა), წარმოდგენას დაესწრნენ დიდი რეჟისორი თემურ ჩხეიძე, მსახიობები ნინელი ჭანკვეტაძე, გია აბესალაშვილი, უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი შალუტაშვილი და ბევრი სხვა ღირსეული ადამიანი. ვეფხია ნადირაძის თქმით, დღესდღეობით სკოლებში არჩევითია საგანი "თეატრალური ხელოვნება", თუმცა, მაინც არ ავლენენ სკოლები აქტიურობას ამ მიმართულებით. მესამესკოლელმა ანა ძაგნიძემ შეკრებილთ მიაწოდა ინფორმაცია, რომ პედაგოგ ქეთევან რუხაძის ორგანიზებით თანაკლასელებთან ერთად ქუთაისის მესხიშვილის თეატრს ესტუმრა, ნახეს სპექტაკლი "იქ, სადაც ჩემი სახლია" და უსაზღვრო კმაყოფილება განიცადეს. ვეფხია თარგამაძემ შეკრებილთ აცნობა, რომ ქუთაისის თეატრის რეპერტუარშია "ღია შუშაბანდი", რომელიც მან ქუთაისის თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელ გიორგი სიხარულიძესთან ერთად დადგა. კითხვები დარბაზიდან თანამედროვე სპექტაკლებში გაჟღერებული ბილწსიტყვაობის შესახებაც დაისვა. ამავე სკოლის მოსწავლემ, მერვეკლასელმა ნიკოლოზ შუბლაძემ აღნიშნა, რომ სერიალ "ჩემი ცოლის დაქალების" გავლენა იმდენად დიდია საზოგადოებაზე, რომ უცენზურო სიტყვებს ფილმიდან ხშირად აიტაცებენ ხოლმე მის

გარშემო მყოფი ახალგაზრდები. რას ურჩევდა თინეიჯერი ვეფხია ნადირაძე თავის თავს? ამ შეკითხვაზე რეჟისორმა უპასუხა, რომ ივივეს, რაც თავის დროზე ურჩია! მან შეხვედრაზე ასევე დააანონსა, რომ აფუძნებს ნაადრევად გარდაცვლილი ნიჭიერი მსახიობის, მისი ყოფილი მოსწავლის, გიგა დუნდუას სახელობის თეატრალურ სტუდიას და ახალგაზრდებს მასში გაწევრიანებისაკენ მოუწოდა.

შეხვედრის ფინალური ნაწილი საუკეთესო და დრამატული იყო, რეჟისორმა წაიკითხა ნიკო ლორთქიფანიძის ნოველა-შედევრი "ტრაგედია უგმიროდ". მისი მსახიობური ოსტატობით მონუსხულებმა და დიდი ემოციით დამუხტულმა მოსწავლეებმა კედლებზე გამოკრულ თეატრალურ აფიშებზე საკუთარი წარწერებიც დატოვეს.

რკინიგზელები რკინიგზელია ქალაქიდან

წლები მისი სიმდიდრეა

ვინც მას იცნობს, ძნელად დაიჯერებს, რომ რვა ათეულს გადააბიჯა. დადის ჩვენს ქალაქში დარბაისელი კაცი და მოწიწებით ესალმება თანაქალაქელებს.

სოფელ ეწერში დაიბადა ბატონი ნიკოლოზ (კოლია) შენგელია. ბათუმის მაშინდელი საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი დაამთავრა და...

რკინიგზაში სამუშაოდ სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობმა კაცმა, ბატონმა გივი ნოდიამ წამიყვანა, იხსენებს ნახევარი საუკუნის წინანდელ ამბავს ბატონი კოლია და ცდილობს, ის ადამიანები მოიგონოს, რკინიგზაზე მუშაობის 47 წლის მანძილზე მის გვერდით რომ იყვნენ და წარუშელელი კვალი დატოვეს მის მეხსიერებაში.

სავაგანო დეპო, რკინიგზის საგზაო მშენებლობების სამმართველო, სამოქალაქო ნაგებობათა დისტანცია, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილება... აი, ორგანიზაციები, სადაც ბატონმა ნიკოლოზმა საოცრად საინტერესო და დაძაბული წლები გაატარა.

კოტე ხურცილავა, ბორის შანიძე, ანზორ გოგოლაძე, ამირან ბახტაძე თავიანთი საქმის ჩინებული სპეციალისტები იყვნენ, უყვარდათ პროფესია და ბარალო ადამიანები და სიყვარულსავე იმსახურებდნენ თანამშრომლებისგან. _ გვიყვება ბატონი კოლია. განსაკუთრებული პატივით გაიხსენა ბატონ ჟორა რევიშვილთან სამოქალაქო ნაგებობათა დისტანციაში მუშაობის პერიოდი. დისტანციის უფროსი იყო ბატონი ჟორა, სამუშაოთა მწარმოებელი კი აწ განსვენებული ბატონი ამირან ბახტაძე, კაცურკაცობით, სინდის-ნამუსით იყვნენ ისინი ცნობილიო, გვითხრა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა ბატონ ჟორა რევიშვილს. სამადლობელი და თბილი სიტყვები ბატონ ნიკოლოზს არც ღვაწლმოსილი რკინიგზელის, ჩვენი გზეთის დიდი მეგობრის, ბატონ რევაზ შამათავას მისამართით დავიწყნია. განსაკუთრებით ბევრი ისაუბრა ბატონი რევაზის წვლილზე რკინიგზელთა ქალაქის კეთილდღეობის საქმეში, რკინიგზის განვითარებაში.

მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი ხანდაზმულობის წლებს ულამაზებენ ჩვენს რესპონდენტს, რომელიც უკეთესი მომავლის ოპტიმიზმითაა განწყობილი და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ საქართველოში ღირსეული ოჯახები, ღირსეული ახალგაზრდები, გამრავლდნენ და აღიზარდონ, რომელთაც ქვეყნის მომავალი უნდა აშენონ.

შევიტყვეთ, რომ "სამტრედიის მაცნეს" ერთგული მკითხველი ბრძანებულა ბატონი ნიკოლოზი. კალამი შეგვიქო ჟურნალისტებს და კეთილი სურვილებით დაგვემშვიდობა.

გვერდს ვერ აუქცევს მემატიანე ლამის საუკუნე-ნახევრის ჩვენი ქალაქის განვითარებაში რკინიგზელთა წვლილს, რკინიგზასთან კი მჭიდროდაა დაკავშირებული ბატონი კოლიას ნახევარსაუკუნოვანი შრომითი გზა.

ხანგრძლივ სიცოცხლესა და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ ამაგდარ კაცს.

ლევან გაბეჩავა

გულთან მიტანილი საქმე
უავარიოდ გარბენილი მილიონი კილომეტრი

რკინიგზელთა მრავალათასიანი არმიის კიდევ ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი გაგვაცნო ამ დღეებში ღვაწლმოსილმა რკინიგზელმა, ბატონმა რევაზ შამათავამ. იგი ბატონი იური შოთას ძე პაპავა გახლავთ.

ხარაგაულის რკინიგზის მეათე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბატონმა იურომ თბილისის ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და მხედრული ვალიც პირნათლად მოიხადა.

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოში იგი განაწილებით მოხვდა, მომდევნო 33 წელი დღემდე სახალხო მატარებლის ელმავლის მემანქანეა.

რადიოკავშირისა და სიგნალიზაციის გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უსაფრთხო მიმოსვლა. ბატონი იური ჩინებულად უვლის ელმავალს და საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილი ურთულესი დავალების შესრულებას. შეუმჩნეველი როდია მისი თავდადება, შრომითი ენთუზიაზმი. მას მინიჭებული აქვს "საპატიო რკინიგზელის" წოდება, უწუნოდ და უავარიოდ გარბენილი მილიონი კილომეტრისათვის კი შესაბამისი ჯილდოც დაიმსახურა. უყვარს საკუთარი პროფესია ბატონ იურის და უყვართ იგი გარშემომყოფთ.

აფხაზეთის ომში ნაბრძოლი ვაჟკაცისათვის სულერთი როდია ქვეყნის მომავალი, ხვალინდელი დღე. სწორედ ამიტომ არ იშურებს იგი ძალასა და ენერგიას, რათა საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ძლიერების საქმეში. ახალგაზრდა რკინიგზელების პროფესიული დახელოვნების საქმეშიც დიდია ბატონი იურის წვლილი. მის შრომით მაგალითზე გამოიწვრთნენ ახალგაზრდა მემანქანეები: სოსო ქორიძე, ჯამბულ კიკნაძე, გიორგი კაპანაძე, მამუკა რეხვიაშვილი და სხვები.

კვლავ წარმატებებს, ახალ შრომით მიღწევებს ვუსურვებთ, ბატონ იური პაპავას, სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მკლავმოუღლელ რკინიგზელებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთლდღეოდ და სადიდებლად!

ლევან გაბეჩავა

ვალმოხდილი რკინიგზელი

ბატონი **ალიოშა კალაძე** გააცილეს ამ დღეებში ახლობლებმა, სამტრედიელმა რკინიგზელებმა უკანასკნელ გზაზე.

მთელი ცხოვრება რკინიგზას დაუკავშირა ბატონმა ალიოშამ. 1947 წელს მუშაობა სავაგონო დეპოში დაიწყო ზეინკლად, შემდეგ მრავალი წლის მანძილზე გახლდათ მატარებლის გამსინჯველი და საოცარი პასუხისმგებლობით ასრულებდა უაღრესად საპატიო და მართლაც საპასუხისმგებლო საქმეს.

რკინიგზის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მინიჭებული ჰქონდა "საპატიო რკინიგზელის" მაღალი წოდება. ათობით სიგელი, მრავალი ორდენი და მედალი მის შრომით სიმამაცეზე და უანგარო გარჯაზე ღაღადებენ.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ბატონი ალიოშას მიერ დიდებით განვლილ შრომით გზაზე, მრავალი ღირსეული ახალგაზრდა შეიძლება გაიზარდოს.

ნათელში დაავანებს არსთა გამრიგე ამაგდარი რკინიგზელის სულს.

ლევან გაბეჩავა

“წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებავს, სიბერეს ამხიარულებს”

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენს რუბრიკას მეათე საჯარო სკოლის პედაგოგი, ფილოლოგი მარინა ცინცაძე სტუმრობს. პოეტური ქალბატონი საამოვნებით დაგვთანხმდა, ესაუბრა წიგნის როლსა და დანიშნულებაზე.

_ თქვენს სასკოლო ღონისძიებებს შესანიშნავი პედაგოგის ხელი ატყვია, ისინი არაერთხელ შემიფასებია. თქვენს მოსწავლეებს ნაკითხობა ეტყობათ, როგორ შეგყავთ ისინი წიგნიერების სამყაროში, როცა ირგვლივ ამდენი საცდურია, როგორ ახერხებთ, წიგნების უპირატესობაში დაარწმუნოთ ისინი?

_ გმადლობთ ასეთი შეფასებისათვის, ყოველთვის მიხარია თქვენი სტუმრობა, თქვენ ჩემი ღონისძიებების ობიექტური შემფასებელი ხართ, კარგად სწვდებით ჩვენს სათქმელს და რაც მთავარია, სადაც თქვენ ხართ, იქ სითბო და სიყვარულია. რადგან ღონისძიებით დავიწყეთ საუბარი, არ შემიძლია არ გავიხსენო ღონისძიება, რომელიც 17 შინდისელი გმირის ხსოვნას მიეძღვნა. ეს იყო დიდი ემოციებით და პატრიოტული სულისკვეთებით დატვირთული ღონისძიება, რომელმაც გულგრილი ვერავინ დატოვა. ჩვენი მიზანი იყო, შეგვეხსენებინა საზოგადოებისათვის: გვახსოვდეს გმირები, თაობებს გადავცეთ მათი გმირობის ამბავი, ყველაფერი გავაკეთოთ მათი სულის უკვდავებისათვის.

რამდენიმე წლის წინ, 11 აგვისტოს შინდისში წავიყვანე მოსწავლეები, პატივი მივაგეთ გმირების ხსოვნას, ვნახეთ ადგილები, სადაც ბიჭები იბრძოდნენ, შევხვდით ადგილობრივებს და იცით რა გვითხრეს? რამდენიმე ჯარისკაცს თავისუფლად ჰქონდა გაქცევის საშუალება, მაგრამ დაჭრილი ბიჭები არ მიატოვესო. არ ვიცი, ამას რა ჰქვია, ეს, ალბათ, გმირობაზე დიდია... ბრძოლის ველზე დაიღუპა ახალგაზრდა პოეტი მიხეილ დვალიშვილი, მან ეს გულიდან ამოხეთქილი სტრიქონები უძღვნა სამშობლოს: “ერთი გული მაქვს, ერთი სიცოცხლე,

და თუ დაგჭირდა, ნუ შემიცოდებ,

სხვა უკეთესი არ გამაჩნია,

ორივე მინდა შენთვის, იცოდე!”

დაუსრულებელი სიამაყით შემიძლია ვისაუბრო 17 შინდისელზე. სირცხვილის ლაქა რომ მოსწმინდეს სრულიად საქართველოს, თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი გმირებისა და მათი მშობლების წინაშე. რაც შეეხება კითხვას, თუ როგორ ვარწმუნებ მოსწავლეებს წიგნის უპირატესობაში, ვიტყვი იმას, რომ თავადაც გრძნობენ წიგნის უპირატესობას. გეთანხმებით, საცდური მართლაც დიდია: საინფორმაციო საშუალებათა სიმრავლემ, ნებისმიერი მასალის ვიზუალურად ნახვის შესაძლებლობამ და ათასმა სხვამ კომპიუტერი მართლაც საშიშ მეტოქედ გაუხადა წიგნს, თუმცა ვერ განდევნა იგი. საბედნიეროდ მყავს ისეთი მოსწავლეები, რომლებისთვისაც თითოეული დღე წიგნის გარეშე წარმოუდგენელია. მივესალმები იმას, რომ სკოლებში კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით, უამრავი აქტივობა ტარდება, ჩვენს ქალაქში ყოველწლიურად იმართება წიგნის დღესასწაული საუკეთესო მკითხველის გამოსავლენად. ვადიარებ, რომ ჩემი დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი კომპიუტერის ტყვეობაშია. ხშირად ვესაუბრები ჩემს მოსწავლეებს წიგნის კითხვის უპირატესობაზე, ვეხმარები ლიტერატურის არჩევაში, ერთად ვმსჯელობთ წაკითხულის ირგვლივ. ეს ყველაფერი მათთან სულიერადაც მაახლოებს. კითხვა ავითარებს გემოვნებას, გვაზიარებს სილამაზეს, სულიერად გვამაღლებს და გვაფაქიზებს. “წიგნი სალაროა ჩვენი ხსოვნისა, წიგნი ხიდია წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის, აი, რატომ უნდა გვიყვარდეს წიგნი” _ გვასწავლის დიდი კონსტანტინე გამსახურდია.

_ რომელ საყვარელ წიგნებს მიუბრუნდებით ხოლმე?

_ თითოეული წაკითხული წიგნი ჩემი მეგობარია, სულის ნაწილია, მაგრამ ახლა ვასილ ბარნოვის შემოქმედების ნოსტალგია მაქვს, გადავიკითხავდი “ ტრფობა წამებულს” და “მიმქრალ შარავანდედს,” უპირატესობას ისტორიულ რომანებს ვანიჭებ, ბარნოვმა უდიდესი სიყვარულით, მძაფრი რომანტიკული ფერებით გააცოცხლა საქართველოს წარსული.

_ რომელია თქვენი საყვარელი სხვა ქართველი და ასევე უცხოელი მწერლები?

_ თაყვანს ვცემ ვაჟა ფშაველას და კონსტანტინე გამსახურდიას, განუმეორებელია ვაჟა, დროს გაუსწრო თავისი ზოგადსაკაცობრიო იდეებით, ურთიერთდანდობა და სიყვარული გვიქადაგა. ის ყოველთვის შეგვახსენებს: “გვიყვარდეს კაცნო ერთმანეთი”. მეცხრე კლასელი ვიყავი, “დიდოსტატის მარჯვენა” რომ წავიკითხე, შემზრა შორენასა და არსაკიძის ტრაგიკული სიყვარულის ისტორიამ, ჩემი მგრძნობიარე და რომანტიკული ბუნების გამო ბევრი ცრემლი დავადინე წიგნის გაყვითლებულ ფურცლებს, იმდენად დიდი იყო წიგნის წაკითხვით გამოწვეული შთაბეჭდილება. იმ დღიდან “დიდოსტატის მარჯვენა” გახდა ჩემი სამაგიდო წიგნი. ალბათ, ამ ნაწარმოებმა განაპირობა ჩემი უდიდესი სიყვარული “სვეტიცხოვლისა” და “ჯვრის მონასტრისადმი”. დღესაც უემოციოდ ვერ ვკითხულობ მკლავმოკვეთილი არსაკიძის ზმანების სურათს: “ბოლოს მოაღწია რიჟრაჟმა, ატყდა სანთლების ლიცლიცი გარეთ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვეოდა იისფერი შუქი ფხოვის მთებიდან, შორენა ჩამოვიდა კლდიდან, ხატაურის ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს. დაუჩოქა სამგზის სანატრელმა და სთხოვა დიდოსტატს სული, ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერ მისცა საყვარელს სული, რადგან სვეტიცხოვლისათვის შეეწირა იგი...” უცხოელი მწერლებიდან ერიხ მარია რემარკი და სტენდალი მომწონს.

_ დღეს, ამ ღირებულებათა გადაფასებისა და დევალვაციის ჟამს ხომ არ გიწევთ მეტი მუშაობა მოსწავლეებთან, რომ კარგად აღიქვან ილია, აკაკი, ვაჟა, გქონიათ შემთხვევა, ვერ აღექვათ, ან უემოციოდ მიეღოთ “ოთარაანთ ქვრივი”...

_ დიახ, ამ მხრივ მიწევს მეტი მუშაობა მოსწავლეებთან, იცვლება თაობები, შეხედულებები, მაგრამ არსებობს ღირებულებები და იდეალები, ჟამთა სიავეს რომ უძლებენ. სამწუხაროდ, ვაჟას, ილიას, აკაკის იდეალები გაუცხოვდა, სამშობლოს ცნება გაუფერულდა და ამას ხელს უწყობს უამრავი გარემოება, პრესის და ტელევიზიის იდეოლოგია კარგს ვერაფერს აძლევს ახალგაზრდებს, ამიტომ სკოლამ, პედაგოგებმა მთელი ძალისხმევა უნდა წარვმართოთ ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისაკენ, ვასწავლოთ მათ ჰუმანიზმი, სამშობლოს სიყვარული, ქვეყნის გმირული წარსული... ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა წლებს ითვლის და საბედნიეროდ, არ მქონია შემთხვევა, “ოთარაანთ ქვრივის” ტრაგედია ემოციისა და ტკივილის გარეშე მიეღოთ. მეთერთმეტე კლასს ვასწავლი, საოცრად ნიჭიერი და მოაზროვნე მოსწავლეები მყავს, “ოთარაანთ ქვრივის” ტექსტი დამთავრებული არ მქონდა, დაინტერესებულა ზოგიერთი და წინასწარ წაეკითხათ. გაკვეთილზე შესულს მომაგებეს: ვიტირეთ მას! უყვებოდნენ ერთმანეთს ნაწარმოების ფინალს, წუხდნენ გიორგიზე. ხელი არ შემიშლია, სულგანაბული ვუსმენდი მათ.

_ რა არის თქვენთვის პოეზია?

_ ილიას დავესესხები, “ჩემი სიცოცხლე ჭრილობიდან სისხლის დენა იქნებოდა, პოეზია რომ არ ყოფილიყო.” პოეზია ჩემთვის ის სამყაროა, უკვდავებას რომ გვაზიარებს. პოეზია ფიქრია, ლოცვაა, ცრემლია, სევდაა, სიხარულია: “და კიდევ, იცი რა არის ლექსი? სულის საკვები და გულის ფეთქვა, ყველგან ჩიტების ჭიკჭიკი მესმის და ულამაზეს ყვავილებს ვხედავ”.

განსაკუთრებით მიყვარს პოეტ მანანა ჩიტიშვილი ეს ლექსი:

“ქარი ახლა საალერსოდ მიწევს,

იამინდა, გადაიღო თოვამ...

ნეტავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს

რანაირი გაზაფხული მოვა?

კვლავ ის ფერი თუ ექნება ნისლებს?

ამ ცის თაღებს ცისფრად შემოგარსულთ?

ან ტყემალი ემსგავსება ისევ

ქორწილიდან გამოპარულ ასულს?

მთებსა ვძრავდი სასურველის პოვნად,

ვგავდი ჟინით მყვირალობის ირემს.

ან იმ ქვეყნად მომდევს ვინმეს ხსოვნა,

ან ამ ქვეყანდ ვეხსომები ვინმეს?!

ქარი ახლა საალერსოდ მიწევს

სულს მოსწყურდა.... გადაიღო თოვამ,

ნეტავ, ჩვენ რომ არ ვიქნებით, იმ წელს

რანაირი გაზაფხული მოვა”.

დარწმუნებული ვარ უამრავი გაზაფხული მოვა, რომელიც მოიტანს სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერებას.

_ რამდენად ძვირფასი საჩუქარია წიგნი თქვენთვის?

_ ჩემთვის მართლაც ძვირფასი საჩუქარია წიგნი და ყვავილები, ბავშვობა სოფელ ოფეთში გავატარე, ბებიასთან. გუშინდელ დღესავით მახსოვს ფანჯრის რაფაზე შემოდებული ხუთიოდე წიგნი, მაინ რიდის “ოკეანეში დაკარგულები”, ართურ კონან დოილის “ შერლოკ ჰოლმსი”, შარლოტა ბრონტეს “ჯეინ ეარი”, გრიგოლ აბაშიძის “ლაშარელა” და ნოდარ დუმბაძის “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”. არ ვიცი, ბებიას ბიბლიოთეკაში საიდან მოხვდა ეს წიგნები, მაგრამ რადგან სხვა წიგნები არ მქონდა, წაკითხულს ისევ თავიდან ვუბრუნდებოდი. სოფლის ცენტრში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა და როცა წამოვიზარდე, ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვიყავი. უთბილესი მოგონებაა ჩემთვის ხის სახლი სოფელში, კითხვისას ფანჯარაში შემოგორებული ბრიალა მთვარე, გადაშლილ წიგნში ჩაკარგული ყივილი მამლის, განთიადის შემობრძანებას რომ მაუწყებდა. რადგან იცოდნენ სოფელში ჩემი სიყვარული წიგნისადმი, უამრავ წიგნს მჩუქნიდნენ.

_ უკანასკნელი გროშები წიგნში გაგიმეტებიათ?

_ გამიმეტებია, ასე ნელ-ნელა შევიძინე სასკოლო ბიბლიოთეკის 30 ტომეული, მინდა ჩემს შვილიშვილებს ჩემგან ბევრი საუკეთესო წიგნი დარჩეთ.

_ გაქვთ წიგნი რომელიმე მწერლის ან პოეტის წარწერით?

_ მაქვს წიგნები რევაზ მიშველაძის და ავთანდილ ნიკოლეიშვილის ხელწერით.

_ არსებობს უწიგნოდ ჩავლილი დღე თქვენს ცხოვრებაში?

_ თავმომწონეობაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მართლაც ნაკლებადაა დღე, რაიმე რომ არ წავიკითხო, ან წაკითხულს ისევ რომ არ მივუბრუნდე, ლექსების კითხვაც უდიდეს სიამოვნებას მგვრის.

_ რას ურჩევთ ახალ თაობას, რატომ უნდა იკითხონ წიგნი, მაინც რა შარმი აქვს მას?

_ მინდა, მშობლებს დიდი მოკრძალებით მივმართო: წიგნი ოდიდგანვე იყო ჩვენი სულიერი მოძღვარი, მეგობარი, მას ახლა ჩვენგან სჭირდება გადარჩენა და დახმარება, პატარაობიდანვე შევაჩვიოთ შვილები და შვილიშვილები წიგნთან ურთიერთობას. თუ არ ვცდები, ციცერონს ეკუთვნის ეს სიტყვები: “წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებას, სიბერეს ამხიარულებს, ბედნიერებას ამშვენებს, უბედურებაში თავშესაფარს და დამშვიდებას იძლევა”, გურამ დოჩანაშვილი კი გვეუბნება: “ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი”. ჰოდა, დაუმეგობრდით წიგნს, ის საუკეთესეო მეგზურობას გაგიწევთ, მწვერვალებს დაგაპყრობინებთ და სამყაროს შეგაცნობინებთ! იკითხეთ ბევრი, მიეფიცხეთ წიგნებს!

გილოცავთ! გილოცავთ!

იმ დროიდან ვიცნობ, როცა სოფელ დიდ ჯიხაიშში, სხვადასხვა სკოლაში ვმუშაობდით. მერე ბატონი ილია ლეკვეიშვილი დააწინაურეს, წლების მანძილზე ვახლდათ სკოლის დირექტორი სამტრედიაში, ვანში. ლექსებს დიდი ხანია წერს და მშობლიური რაიონის მშობლიური ვაზეთიც სიამოვნებით აცნობდა პოეტის შემოქმედებას გემოვნებიან მკითხველს. რა საკვირველია, პროფესიითა და მოწოდებით პედაგოგში ბავშვების, ცეროდენა ვოვო-ბიჭების სიყვარული რომ მძლაგრობს. ბოლო დროს ივი საოცარი სითბოთი და რუდუნებით წერს საოცრადვე თბილ საბავშვო ლექსებს. გულწრფელად ვავიხარეთ ამას წინათ, ერთ-ერთ ღონისძიებაზე მისი ლექსი რომ ახმიანდა.

პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარულისა და მსახურების უპირველესი მისია ყოველ ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილს აქვს გასოგრძევანებული. ყურადღებას იმსახურებენ ილია ლეკვეიშვილის ის ლექსები პატრიოტულ მოტივზე რომ უწერია.

...

იუბილარია პოეტი და პედაგოგი ბატონი ილია ლეკვეიშვილი ამ დღეებში.

"სამტრედიის მაცნე" მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით გულწრფელად ულოცავს მის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს დაბადების დღეს, წლთა სიმრავლეს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს სიტყვაკაზმული ქართული მწერლობის უბრეტენზიო მსახურს კეთილისმყოფელთა გასახარად!

ლეშან გაბეჩავა

ქრისტეშობისთვე

აცივდა და მზეს ღრუბლების
მოუხურავს შალი,
ბებო თავშალმოხვეული,
ბაბუც ბამბის შარვლით.
ძლივს აბოტებს, ყინავს, ყინავს,
და ბუხართან კატას
ძინავს, ქრისტეშობისთვეა,
ძვალ-რბილში რომ ატანს.
გულმოსული ქვენა ქარი
აწრიალებს ერდოს,
თეთრი კვახი მოუხარშავს
შუაცეცხლზე ბებოს.
ბაბუ ღვინოს აჭაშნიკებს,
ჭიქას ალზე ათბობს,
შუაგული ზამთარია,
თუმცა ჯერაც არ თოვს.
შაშვები და შოშიები
შესევიან გუნდად,
მაღალ ხისკენწეროებზე
შემორჩენილ ხურმას.
დათვებს, ალბათ, სძინავთ უკვე
თბილ ბუნაგში მშვიდად,
მე კი ჩვეულებისამებრ
ვერ ვჩერდები შინ და...
სანამ თოვლი ჩამოპყვება
ცაზე მიდგმულ კიბეს,
ვცდილობ, ხეზე ხავსის ბუდე
დავუმაგრო ჩიტებს.

სამოცი

მზისფერებს დაშლის დეკემბრის
ქარები ერთი შებერვით,
სამოცი წელი, სამ-ოცი
ადრე მეგონა მეც ბევრი.
რად ჩქარობ, მალე-მალეო!..
ოცი შენც შეგსრულებია,
ჩემი ხნის მოიყარეო,
მეუბნებოდა ბებია...
მლოცავდა? მა, რა, მლოცავდა,
ჩემი ხნის მოიყარეო!..
მოვიყარე და რა მერე,
წელშიც რო მოვიხარეო!
ეჰ, რა ხარ წუთისოფელო,
ამო, ამაოდ თვალეო,
წვეთ-წვეთად მასვი სამსალა,
შარბათი დამიმალეო.

ყველგან გზაა

განა ვიცი,
რაც არ ვიცი?
ან შენ იცი, რას განვიცდი?
რა ულმობლად დაცავიწვი
და რა უღვთოდ გადავიწვი!
საით ღმერთო,
არსით გზაი
ცხადი?
არა, სიზმარ-ცხადი!
მიწის ვარ, თუ ნეტა ცისა,
ეს რომ მაინც მაცოდინა!..
ამ საწუთრომ ისე მზილა,
ისე ულვთოდ მაცოდვილა,
განა ვიცი, რაც არ ვიცი?
მივალ, ეს კი ვიცი
საით?
ყველგან გზაა,
ხსნა კი,
ხსნა კი,
ღმერთო ჩემო,
ხსნა _ არსაით.

ჩემო ლამაზო სამშობლოვ!

გადაიქროლებს თებერვლის
სუსხი და ავი ქარები,
მარტი გაიხდის კაბას და
ცას გაეხსნება კარები.
ტყვედაყვანილი მზეც მალე
აიხსნის ღრუბლის ბორკილებს,
და მთა და ბარის მოხატვას
ხელს ძველებურად მოჰკიდებს.
რომ უფრო მეტად ნათობდეს
ჩემი მზეცა და ჩემი ცაც,
ის რაც შენია, სამშობლოვ,
სუყველა ხომ ჩემიცაა.
სხვა მხრივ როგორ ვთქვა არ ვიცი,
მეც შენი ვარ და შენც ჩემი,
შენდა სალოცად, მორჩილი
შენს წინ მუხლებზე ვეცემი.
მიყვარხარ ისე, ისე რომ
სიტყვებით ავხსნა, ძნელია,
სამშობლოვ, ასე ლამაზი
რამ შეგქმნა საკვირველია.

საქართველო გაბრწყინდება

მტერს რომ მუსრი გავავლეო,
ეგონა და ხარობდა,
მამალი კვლავ ყიოდა და
შავი შაშვიც გალობდა.
მტერო, სიკვდილს სადაც სთესდი,
ჩემმა გენმა იხარა,
ძირფესვიან ამოთხრილმა
ვაზმაც ამოიყარა.
მუხა ისევ იფოთლება,
ღვთისმშობელი მფარველობს,
მიწავ, მზე თამარისაო,
მიწავ სარუსთაველო.
დროშავ, ჩემო, ჩალისფერო,
გორგასლიან დავითთა,
შენი მზე კვლავ ცად ანთია,
ვინა თქვა, რომ ჩავიდა?
თუმცა, დღესაც მიწევს თმობა,
გრძნობას ვეღარ ვერევი,
სულ ამაოდ ცდილობ, მტერო,
მაინც ვერ მომერევი.
ეს აისის ბინდბუნდია,
ნუ გგონია ბინდდება,
მზე დავითის და თამარის
ისევ ამობრწყინდება!

სიმღერა

მზე რომ ოქროსფრად იღვრება,
აისია თუ დაისი,
ყველგან ვარ, მთაში თუ ბარში
და ყველგან ჩემი ხმა ისმის.
ჩიორებს ვგავარ, ბაღში რომ
ტოტებზე ჩამოსხდებიან,
და დილით უთენიაზე
უცხო ჰანგებზე მღერიან.
მზეს ჰიმნებს ვუძღვნით,
ჩიტებო, თუმცა ბევრნი ხართ,
ძნელად გაარჩევთ, რომელი
ჩიტის ხმაა თუ ჩემი ხმა.
სიმღერით ვიცი სიცილიც,
ნუმც დაგკარგვოდეთ ხალისი,
ბანი მითხარით, სად ზეცად
ჩემი წკრიალა ხმა ისმის.
სიმღერით ვიშვი, არ გჯერათ?
მე სხვა ჯიშის და გენის ვარ,
მიხარია და ვმღერივარ,
მტკივა და მაინც ვმღერივარ.

ახალი ლექსები

სამტრედია ჩემო

საოცნებო ტურფა მხარე
ხალხიც სანაქებო,
ყველა ქალაქს მხარს უმშვენებ,
სამტრედია ჩემო!
ვარდს გიხარებ ფიანდაზად,
ვჩეხავთ ნარ-ეკლიანს,
თუმც უეკლოდ არასოდეს
არ მოგიკრეფია...
სამტრედია, სამტრედია,
სიყვარულის ქალაქო!
სამტრედია, სამტრედია,
მეგობრობის ალაგო!
რიონის და ცხენისწყალის
ზიარო ქალაქო,
შენი ზვრებით და ველებით
მითხარ, ვინ არ გაქო,
დამიჯერე, რომ შენი ვარ,
შენ სუნთქვა ხარ ჩემი,
ვამაყობ და ვიამაყებ,
ჩემს ქალაქზე ვმღერი...
სამტრედია, სამტრედია, სიყვარულის ქალაქო,
სამტრედია, სამტრედია, ოცნებების ქალაქო!..

***

"თებერვალი დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო,
ჩადგება და ჩადგეს, რა!
გულში სითბოც ჩადგება,
სიყვარულის მომტანი
ლამაზი დრო დადგება.
თხრილის გასწვრივ სირცხვილით
თავს გამოყოფს ია,
რა ამორცხვებს ნეტავი,
ვეღარ გამიგია.
ბევრი ტრფობის მომსწრეა,
სათნო ყვავილია,
დამჭკნარსაც კი სურნელი
შემორჩენილი აქვს.

***

ოთარ რამიშვილის მუსიკაზე

მზე აყვავებულ ბაღებს დასცქერის,
მისი სხივებით ვარდმა იხარა,
ჩემს ბაღში ბევრი იზრდება ვარდი,
როგორც სიცოცხლის ნერგი პატარა.

ვახარებ ნერგებს და დავფუსფუსებ,
ფესვებს ვუმაგრებ, გული მაქვს მშვიდად
ვიღაცა ჩუმად წამი ჩურჩულებს:
სულ პატარა ვარ, ალერსი მინდა.
აუ, რამდენი ყვავილებია,
ია, სოსანი ნაირფერები!
თქვენ ჩემი გულის თაიგული ხართ,
არაფერს გატანთ, მოგეფერებით.
იფრინეთ ქვეყნად, ილაღეთ ქვეყნად,
მუდამ მღეროდეთ მთა და მდელოსთვის,
ამაზე კარგი რა უნდა იყოს,
მომავალს ზრდიდე საქართველოსთვის!

ნანა დუნდუა

ეს ყველამ უნდა იცოდეს!

"ღმერთისგან გქონდეს წყალობა"

ბატონ დომენტი ახობაძეს, პოეტსა და ბრწყინვალე კალმოსანს, კარგად იცნობს საზოგადოება, ამჯერად მისი ვაჟიშვილის, ასევე პოეტ ბატონ ვახტანგ ახობაძის იმ ერთ-ერთ პროექტზე მოგახსენებთ, საყოველთაო მოწონება რომ დაიმსახურა.

ბატონი ვახტანგი თითქმის 30 წელია ჟურნალ განთიადში მუშაობს, წერს ლექსებს, გამოცემული აქვს ლექსების წიგნი, გახლავთ რედაქტორი ჟურნალებისა "ვალაკტიონი" და "ბორის გაპონოვი". გამოსაცემად მზად აქვს კრებული "ასი ლექსი ჰლიუსით".

"საქართველოს ბევრი გამოჩენილი ადამიანი ჰყავს, თითქმის თავიდანაა აღსაწერი მათი უმეტესობის ცხოვრება და მოღვაწეობა. მე ამ ხაზით ვაპირებ მუშაობის გაგრძელებას, ამჟამად ვმუშაობ იბერიის, (საქართველოს) ანტიკური ხანის ისტორიაზე". _ წერს ბატონი ვახტანგი, კაცი, რომელიც ბევრი კეთილი საქმის ინიციატორია.

როგორც ცნობილია, გასულ წელს დიდი ზეიმით აღინიშნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საუკუნოვანი იუბილე, წელს კი მთაწმინდის პანთეონის დაარსებიდან 90-ე წელი სრულდება.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს (თარიღებს) ეძღვნება მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებული ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი "მთაწმინდის პანთეონი".

პროექტის ხელმძღვანელი და ჟურნალის რედაქტორი ბატონი ვახტანგ ახობაძე გახლავთ. პროექტის მხარდამჭერები კი ქალაქ თბილისის მერია, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია, ქუთაისის საკრებულო და მერია, ჟურნალების "თბილისელები" და "განთიადი" რედაქციები. პროექტი დააფინანსა და ჟურნალი გამოსცა ბატონმა ბეჟან წაქაძემ.

პანთეონის ისტორია, პანთეონში დაკრძალულ წმინდანთა, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა, მწერალთა დასაფლავება-გადასვენების აღმნიშვნელი ცხრილი (თარიღები) მათივე ბიოგრაფიები...

ერთი სიტყვით, ჟურნალში დაინტერესებული მკითხველი ბევრ საინტერესო მასალასა და სიახლეს გაეცნობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს აბიტურიენტებს, ისტორიკოსებს, ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიის მკვლევართ და, რაღა თქმა უნდა, გემოვნებიანი, ინტელექტუალი მკითხველიც ერთობ კმაყოფილი დარჩება წარმოდგენილი მსუყე მასალის გაცნობისას.

"პირველი, ვინც საკუთარი ანდერძის თანახმად მთაწმინდაზე დაიკრძალა ალექსანდრე გრიბოედოვი გახლდათ (1829 წელი).

პირველი საზოგადო მოღვაწე, ვინც საზოგადოების მოთხოვნით მთაწმინდაზე დაიკრძალა დიმიტრი ყიფიანი იყო (1887 წელი).

ღირსეულ მამულიშვილთა შორის, ვინც მთაწმინდაზეა დაკრძალული, ყველაზე ახალგაზრდა ნიკოლოზ ბარათაშვილია, 27 წლის. ყველაზე ხანდაზმული კი _ ჭაბუა ამირეჯიბი (92 წლის).

პანთეონის ოფიციალურ გახსნამდე იქ უკვე 11 ადამიანი იყო დაკრძალული."

აი, მკირე, ამონარიდი ჟურნალში წარმოდგენილი საინტერესო მასალიდან.

მადლობას ვუხდი(თ) ბატონ ვახტანგ ახობაძეს შესანიშნავი პროექტისათვის, საინტერესო ჟურნალისათვის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ლეჟავას, ბატონ ვახტანგთან ჩვენი შეხვედრის ორგანიზებისათვის.

ლეშან გაბეჩავა

საყდრის კარები ჭრიალებს,
რადგან ქარია ხევში,
მაშინ ვიშუშებ იარებს,
როცა ჯვარი მაქვს ხელში!
ადამიანი მიწაა,
საფლავებს ვუმზერ როცა,
მგონია, მამა დავითი
მლოცავს, მლოცავს და მლოცავს...
"ღმერთისგან გქონდეს წყალობა!" _
ასე იტყვიან ჩვენში,
ეკლესიაში გალობას
ვერ გავცვლი ვერაფერში!
საყდრის კარები ჭრიალებს,
რადგან ქარია ხევში,
მაშინ ვიშუშებ იარებს,
როცა ჯვარი მაქვს ხელში!

ვახტანგ ახობაძე

ლურჯი ცოლღები

ნაძვნარში ნაქარგ ოცნების ნამქერს,
მე შენს თავსაფარს დღემდე ვატარებ,
მას ქალბატონის სრუნელი ასდის
და ყოველ ჯერზე შენს თავს მახსენებს.
მე ოკეანის უსასრულობას
ვადარებ შენს თმებს და სილამაზეს,
მე ოკეანის ულურჯეს ტალღებს
ვადარებ თვალებს, რომლითაც მიმზერ.
უსასრულობა შენს თვალებშია,
რომელიც უძლურს მითრევს ფსკერამდე,
უსასრულობის ბოლო წერტილში
გხედავ, მიღიმი ბოლო წუთამდე.
გამოღვიძება არა, არ მინდა,
დამტოვეთ ცოტაც ამ სილურჯეში,
ამ ულამაზეს კოსმიურ ფერში,
ამ ულამაზეს თვალთა გუბეში.
ვერ გადავიდან თუკი როდესმე,
ამ თვალს წასკდება ცრემლი ჩემს გამო,
ამიტომ მიმაქვს თავსაბურავი
და ვიკარგები მხოლოდ შენს გამო.
განვეშორები შენს სიახლოვეს,
და უგზო-უკვლოდ დავიკარგები,
არ მომიგონო, არ მოგიგონებ,
იქნებ, მოგვირჩეს გულის ნადები.
მაგრამ მიჯნურსა ძალა ამისა,
არ შესწევს, ეს გზა გაუვლია,
მიჯნურსა სატრფო არ ავიწყდება,
რაც უნდა დაჰყოს დრო და ხანია.
ვალდებულება ამას მოითხოვს!
უნდა წავიდე, მაგრამ გპირდები,
მემახსოვრება შენი თვალები,
და ამ თვალებში ლურჯი ტალღები.

მარიამ ულრიხელიძე
№1 საჯარო სკოლის
მე-12 კლასის მოსწავლე

ფიქრები ჩუმი

დღეები დარდად ჩამომემარცვლა,
სულის სიმშვიდეც გამიკრთა, ჩემო,
შენი თვალების შუქიც მომაკლდა,
ჩემს სამყაროში ცეცხლად რომ ენთო.
მე უშენობით სიცივე ვიგრძენ,
ო, სიმარტოვის დაპბერა ქარმა,
სუნი სულისთქმაც შემომელია
გამოყოლილი მე შენგან საგზლად.
ვერ გავუბედე ქვეყნად ვერავის,
მეთქვა, რაც გულში მე დარდად მენთო,
ისევ შრიალა ნიავს მივენდე,
იქნებ ის მაინც ერთგულად მეძმოს.
ჩუმად მოგპარავ ფიქრებით მზერას,
რომ შენს თვალებთან სიცოცხლედ ვენთო,
შენგან ჩუმადვე მოგპარავ ამბორს,
რომ სიკვდილამდე მე საგზლად მეყოს.

სიბნელე

ახლა კი ვნანობ,
რა მოხდა მაშინ.
თავად დავფარე წარსული ნისლით,
გული გამიტყდა, დავეცი სულით,
როგორ ავაგე კოშკები ქვიშით!
როს კითხვის ნიშანს დავემსგავსებით,
ვერ გავიხსენებ, რა იყო გუშინ,
გამივლი, ალბა, ნელ-ნელა ოხვრით,
როცა ორივე ვიქნებით ჯოხით.

გაგული ბოკუჩავა

მთავარია გვახსოვდეს, ვისი გორისა ვართ...

ყოველი ჩვენგანი საკუთარი მისიით მოვდივართ, ჩვენი საკეთებელი საქმისათვის, ჩვენი სავალი გზით. ამ გზაზე ტკივილი და სიხარული უნისონშია. თუ ჭეშმარიტად იმ საქმეს ეძალები, რომელიც შენი სატარებელი ჯვარია, საქმენი შენი გამოგაჩენს და შენ შემდგომ მოსულ თანამოაზრეებს სავალ გზას გაუადვილებს.

ჩემი ოჯახი ერთ-ერთ იმ ძირძველ ოჯახების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც, შეიძლება ითქვას, სამტრედიას დაარსებიდან მოჰყვება. ბაბუა _ სამტრედიის მაგისტრალური რკინიგზის მშენებლობის მონაწილე _ მუშაობდა ორთქლმავლის მემანქანედ, დეპოს უფროსად, რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსად. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა საპატიო რკინიგზელის წოდება. მამა _ 1941 წელს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით მუშაობას იწყებს სამტრედიაში და ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებით ემსახურა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას 1990 წლამდე. იყო ექიმ-ოფთალმოლოგი, 30 წელი სამტრედიის რკინიგზის პოლიკლინიკის უფროსია. მე, 1971 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და 5 წელი განაწილებით ვმუშაობდი თბილისში. 1976 წელს სამინისტროს ბრძანებით მაშინდელი ხის დამმუშავებელი კომბინატის დირექტორის, ბატონი ვალიკო კოპალეიშვილის, მოთხოვნით, როგორც დარგის სპეციალისტი და რაიონის მკვიდრი, მუშაობას ვიწყებ სამტრედიის ხდკ-ში სადაც 7 წლის მანძილზე ვმუშაობდი. ეს იყო წლები, როდესაც კომბინატში მომუშავე თითოეული თანამშრომელი მონაწილეობდა კომბინატის აღმშენებლობის პროცესში. ყოველივე ამის მოთავე და ორგანიზატორი იყო ლეგენდარული პიროვნება, კომბინატის დირექტორი ვ. კოპალეიშვილი. მისი უშუალო თაოსნობით კომბინატის ბაზაზე აშენდა ახალი საავეჯო ფაბრიკა, თითოეული მერქან-ბურბუშელოვანი და ლამინატის წარმოება, რაც მეცნიერული-ტექნიკური პროგრესის ახალი მიღწევა იყო. აშენდა: კულტურის სახლი, ბაგა-ბაღი და სხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობა, ასევე საცხოვრებელი სახლი, კომბინატი განთავსდა 40 ჰექტარზე. კომბინატში დასაქმდა 2500 კაცი, რამაც ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს სარჩო-საბადებელი გაუჩინა ეს ქალაქის მოსახლეობის 30% შეადგენდა.

გაყვანილი იქნა ტროლეიბუსის ხაზი, რამაც არა მარტო კომბინატის თანამშრომლებს, არამედ ქალაქის მოსახლეობას გადაადგილების საშუალება გაუადვილა. ეს იყო კოლექტივი, რომელიც ერთ მუშტად იყო შეკრული, მიზანდასახული და წარმატებასაც აღწევდა. მეამაყება, რომ ამ კოლექტივის ერთ-ერთი წევრი ვიყავი და ჩემი მოკრძალებული წვლილიც შევიტანე საერთო საქმეში.

ბედი მწყალობდა, რადგანაც ამ დიდებული პიროვნების შემდეგ მუშაობა მომიწია სამტრედიისათვის თავდადებულ ადამიანთან, ბატონ თამაზ იმედაძესთან, რომელიც 10 წელი რაიონს თავკაცობდა, პიროვნება, რომელმაც სამტრედიაში ქალაქის მოვლის კულტურა დანერგა. აი, მოკლე ჩამონათვალი საკითხების, რომელიც იმ პერიოდში გადაწყდა: აშენდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის ახალი უნიკალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომპლექსი, თავისი საცხოვრებლით, სპორტული დარბაზებით და მოედნებით, კვების ბლოკით, დაწესდა "ნიკო ნიკოლაძის დღე, რომელიც ყოველ წელს აგვისტოს ბოლო რიცხვებში ტარდებოდა. ქალაქის ცენტრში აშენდა ცხრასართულიანი სასტურმო "სამტრედია" ახალი წყალსადენი, კანალიზაცია, ქალაქისათვის გაკეთდა მეორადი ელექტროკვება, გაიხსნა საჭადრაკო კლუბი, ძირეული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქალაქისა და რკინიგზის საავადმყოფოებს, ერისი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლს. მიმდებარე სკვერში დაიდგა ბიუსტი. გაიხსნა ახალი ბალნეოლოგიური კურორტი "სამტრედია", აშენდა: ახალი ავტოსადგური, კავშირგაბმულობის სახლი. რაიონში განვითარდა მრეწველობის ახალი პროგრესული დარგი _მანქანათმშენებლობა; აშენდა ახალი არასტანდარტულ მოწყობილობათა ქარხანა, სარემონტო მექანიკური ქარხანა, სარემონტო კონდიციონერების ქარხანა. სამტრედიაში მოქმედებდა 26 მსხვილი სამრეწველო საწარმო, 24 საამშენებლო სამმართველო, 6 მეურნეობა და 12 კოლმეურნეობა და სხვა საყოფაცხოვრებო კულტურისა და სპორტის განათლების სფეროს დაწესებულებები. სამტრედიის რაიონი ყოველთვის იყო ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე რაიონების პირველ რიგში.

საქვეყნოდ ცნობილი იყო სამტრედიის "ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც ორჯერ იყო კავშირის მასშტაბით მე-2 ლიგის გუნდებს შორის გამარჯვებული, გუნდის წევრები ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ. "ლოკომოტივმა" სახელოვან ფეხბურთელთა მთელი პლეადა აღუზარდა ჩვენი ქვეყნის წამყვან გუნდებს: დავით გოგია, დავით პაიკიძე, ვაჟა მინაშვილი, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ტარიელ დვალიშვილი, ჯუმბერ ხაჟალია, გივი ბაბუნიძე, დათო გერაძე, კახი კალაძე.

დღეს გუნდს სახელი გადაერქვა, ეწოდა "სამტრედია". რაოდენ დასანანია, რომ მიღწევები წარსულს ჩაბარდა. სამტრედიას ერთ დროს რკინიგზელთა ქალაქს უწოდებდნენ. სწორედ რკინიგზამ განაპირობა ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება. იქ 24 საათიანი სიცოცხლე ჩქეფდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იმ პოსტოკუმუნისტურ სივრცეში, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ქვეყნის ბედზე, მის მომავალზე, ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და ამის ნათელი მაგალითია ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას, ცხოვრება და მოღვაწეობა.

სოციალისტური სისტემის 70 წლის ავტორიტარული მმართველობა 80-იანი წლების მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად შეირყა; ჩრდილოვანმა ეკონომიკამ და კორუფციამ სოციალისტური სისტემის საფუძვლები შეარყია, ხალხის მოთმინების ფიალა აივსო. ასე ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელი გახდა, საზოგადოება ცვლილებებს მოითხოვდა, აქა-იქ გამოჩდნენ დისიდენტური მოძრაობის ლიდერები, რაიონებში, ადამიანები, რომლებსაც არაფორმალებს ეძახდნენ. ისინი დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის ახლებურად მოწყობის იდეით იყვნენ გამსჭვალულნი. ჩვენს ქალაქშიც გამოჩნდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ცვლილებების მომსწრე იყვნენ და ამას ღიად გამოხატავდნენ. ეს დიდი გამბედაობა იყო, რადგან მათ სისტემის წინააღმდეგ მებრძოლებად აღიქვამდნენ. ესენი იყო ახალგაზრდების ჯგუფი სოსო შუბლაძის, ზვიად ძიძიგურის, ზაზა ადეიშვილის, ავთო ადეიშვილის თაოსნობით. მათ რაიონში ეროვნული სულისკვეთება ღიად გააჟღერეს, მჯდომარე აქცია-შიმშილობა გამოაცხადეს და კულტურისა და დასვენების პარკში (ამჟამად დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის ეზო) განლაგდნენ. იმ ვითარების შესატყვისი ეპიტაფიაა დიდი გალაკტიონის სულისკვეთება: "თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა".

მე შინაგანად ვფიქრობდი, რომ ცვლილებები აუცილებელია, მხარს ვუჭერდი, მაგრამ ამის ღიად დაფიქსირება მეძნელებოდა. დიდი ფიქრის შემდეგ, რომ არსებული მდგომარეობა ადამიანების კი არა, სისტემის ბრალია, აქციის მონაწილეებთან მივედი, მინერალური წყალი (საექსპორტოდ გასაგზავნი "ბორჯომი") მივიტანე და ამით ჩემი თანადგომა გამოვხატე. მომიტინგეებმა ეს გაახმოვანეს, რომ საწარმოს ხელმძღვანელი _ დირექტორი გია ბოჭორიშვილი მათ მოსაზრებებს იზიარებს ცვლილების თაობაზე. მეორე დღეს დამიბარეს მკაცრად გამკიცხეს, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მესვეურებმა. მე ამაყი ვარ, რომ ჩემს თავს მოვერიე და სათქმელი ღიად გამოვხატე. ადამიანებს საერთო იდეები და მიზნები აერთიანებთ, საერთო ეროვნული ინტერესები უნდა შევაფასოთ და მოვაგვაროთ, აუცილებელია წარმმართველი ტენდენციების გაცნობიერება. სახელმწიფო მაშინ შეისხამს ხორცს სრულად, თუ გააცნობიერებს და სწორად შეაფასებს საყოველთაო კეთილდღეობას. პოლიტიკამ შეიძლება ივარგოს იმ შემთხვევაში, თუ მიზანს საფუძვლად დაედება: სამართლიანობის, სიკეთის, სულიერების პრინციპები.

შემდეგ მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა, ეროვნული მოძრაობის ტალღამ მთელი ქვეყანა მოიცვა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამედიცინო ინსტიტუტი, სამხატვრო აკადემია; მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებების, სასწავლებელთა, მთელი რიგი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები, არსებითად გაფართოვდა მომიტინგეთა გეოგრაფია. მიტინგის ორგანიზატორებმა მიაღწიეს იმას, რომ მთავრობის სახლის წინ 10 ათასი კაცი იმყოფებოდა. გაფიცულებმა მჯდომარე აქცია გამოაცხადეს. ლიდერების პრაქტიკული მოთხოვნა იყო სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლა... ლიდერები შეკრებილთ მოუწოდებდნენ, არ დაშლილიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო ნაწილები გამოჩნდებოდნენ. ასეთმა მოწოდებამ ვითარება ძალზე დაძაბა და პიკს აღწევდა. შეკრებილებთან მივიდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ის შეხვდა აქციის მონაწილეებს, რომ საშიშროება რეალურია, კატასტროფული. მოუწოდა: ერთად წავიდეთ ქაშუეთის ეკლესიაში და ერთად ვილოცოთო. მთავრობის სახლის წინ საოცარი მდუმარება სუფევდა. ამ დროს გაისმის ერთ-ერთი ლიდერის, ირაკლი წერეთლის, შეძახილი რომ "ფიცი გვაქვს მიცემული. არ შეისმინეს, არ გაიგონეს კათალიკოს-პატრიარქის მოწოდება. შედეგი სავალალო დადგა. ვითარებას შეეწირა 16-23-31-34 წლის ახალგაზრდები, ირაკლი წერეთელს თმის ერთი ღერი არ ჩამოვარდნია. ცნობიერებას ღრღნის ფიქრი, სად იყვნენ ლიდერები?! ბრძოლის დაუწერელი კანონია, მეთაური ბრძოლის ველზე თანამებრძოლებს არ ტოვებს. დიდმა მეფემ დავით აღმაშენებელმა ოდეს მებრძოლები დიდგორის ბრძოლისათვის მოამზადა, ბრძოლის დაწყების წინ უკან გასასვლელი ჩახერგა, რომ ვინმეს ბრძოლის ველის დატოვების ცდუნდება არ გასჩენოდა. მან მცირე ლაშქრით გამარჯვება მოიპოვა.

ამას წინათ, ერთ-ერთი ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი-ვიტაუტას ლანცბერგესი სატელევიზიო გადაცემის დროს იხსენებს პოსტსაბჭოურ პერიოდს. ის ამბობს, რომ ზვიად გამსახურდიასთან ჰქონდა საუბარი "საბჭოთა კავშირი მოკავშირე რესპუბლიკებს პროვოკაციებს უწყობს, ცდილობს ეროვნული უმცირესობების აბუნტებას-აჯანყებას. ჩვენ კავშირიდან გასვლა არ მოგვითხოვია, დავიწყეთ დამოუკიდებელი თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობა. თქვენ ქართველებმა შეცდომა დაუშვით, პროვოკაცია მოგიწყვეს, ქართველ ხალხს სწორედ ის დააბრალეს, რაც არასოდეს ახასიათებდა თავისი არსებობის მანძილზე და მშობლიური მიწა-წყლის დაქუცმაცება და მიტაცება განიზრახეს, თქვენ სამოქალაქო ომის მორევში გადაეშვით". დღევანდელი გადასახედიდან ეს, რაოდენ სამწუხარო არ უნდა იყოს რეალობაა.

ვის ეკისრება 9 აპრილის ტრაგედიაზე პასუხისმგებლობა, ვის და ორივე მხარეს; პირველს _ იმჟამინდელ ხელისუფლებას, რომელმაც ვერ შეძლო, ვერ შეაფასა თავის დროზე და ვერ მართა სიტუაცია და მეორესაც, რომელმაც არ მოუსმინა კათოლიკოს-პატრიარქის ვედრებას, არ გაიგონა მისი რჩევა-დარიგება.

მიუხედავად ყველაფრისა, შევძელით საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და პრეზიდენტი ავირჩიეთ. ვფიქრობდით, დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ერთად შევძლებდით, მაგრამ დაშვებულმა შეცდომებმა თავი იჩინა, ურთიერთდაპირისპირება გამწვავდა და სამოქალაქო ომში გადაიზარდა. 90-იან წლებში ძმათა მკვლელმა სამოქალაქო ომებმა, მეურნეობის მასიურმა ძარცვამ და განადგურებამ უმძიმესი შედეგი გამოიღო, რამაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა. ამ ვითარებას შეეწირა გულანთებული ადამიანების, თვით ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის, გია ჭანტურიას სიცოცხლე. ქვეყანა ქაოსში ჩაეფლო. სამხედრო საბჭომ თ. სიგუას, ჯ. იოსელიანის, თ. კიტოვანის მეთაურობით ქვეყნის სტაბილურობა ვერ შეძლო. მან გადაწყვეტილება მიიღო, მოსკოვიდან ჩამოეყვანა ედუარდ შევარდნაძე. მას საქართველოში მართვის სტრუქტურები მოშლილი დახვდა. დაიწყო მართვის ბერკეტების

ჩამოყალიბება, სწორედ მაშინ პირველად გამოჩნდნენ რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულები მობილური აპარატით, რომლის მეშვეობით მოხდა ქალაქებში რაიონებში მერების, გამგებლების დანიშვნა, დაიწყო წესრიგის დამყარება. ე. შევარდნაძის მოსვლით გაიზარდა საზღვარგარეთ ქვეყნის ცნობადობა, გადაიდგა ნაბიჯები ინვესტიციების მოსაზიდად. ჩამოყალიბდა სახელმწიფო სტრუქტურები, პარლამენტი, მთავრობა. დაიწყო მუშაობა, საქართველოს ჰქონდა საერთაშორისო ფუნქცია, თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე; ჩაეყარა საფუძველი, საქართველო გამხდარიყო საერთაშორისო მაგისტრალების ჰაბი (აბრეშუმის გზის იდეა).

მიუხედავად გარკვეული გეგმებისა და დაპირებებისა, რომ "გვირაბს მიღმა სინათლეა", ვერ უზრუნველვყავით გვირაბიდან გაღწევა. კვლავ კორუფციამ და ჩრდილოვანმა ეკონომიკამ გვძლია, ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და ე. შევარდნაძე სახლში გაუშვეს. ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც თავის თავს რეფორმატორებს ეძახდნენ. უნდა ითქვას დასაწყისში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარეს. მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ხელისუფლებამ აირჩია მართვის ავტორიტარული მეთოდი, შეირყა ის დემოკრატიული პრინციპები რისთვისკენაც ხალხი ისწრაფვოდა, მოსახლეობა დაითრგუნა და შიშმა დაისადგურა.

განგებამ ინება და ასპარეზზე გამოჩნდა ქველმოქმედი, მეცენატი პიროვნება, ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ხალხმა, ერმა ის თავის ლიდერად აღიარა, რამაც ქვეყნისათვის დადებითი შედეგი გამოიღო. იყო პრიორიტეტები და დაპირება, რომ უმოკლეს დროში ვითარება მკვეთრად შეიცვლებოდა. გაუკუღმართებულმა კოჰაბიტაციამ დაპირებები შეაფერხა. საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებასა და კინკლაობაში ჩაერთო. პარლამენტარები გუნდურობაზე ალაპარაკდნენ. მიანიშნებენ ერთმანეთზე, რაც ძალზე საზიანოა. "არც ერთი დაყოფა ღმერთს არ უქნია, რამეთუ ყველანი ჩვენ ხალხი ვართ და ის ყოველივე რასაცა ჩვენ ვქმნით, სახალხო საქმეა". საზოგადოებას უფლება აქვს, იცოდეს ყველა მანკიერება, რომელიც მას ძირს უთხრის.

აქვე მინდა აღვნიშნო: არჩილ ჯორჯაძე, ნიკო ნიკოლაძეს "ულმობელი საქმის კაცს ეძახდა". სწორედ ასეთმა დიდმა პიროვნებამ, გულნატკენმა საზოგადოებრივ სარბიელს თავი დაანება და პუბლიცისტობა მიატოვა. ილია ჭავჭავაძემ მას წერილი მისწერა:

"ძმაო ნიკო! წავიკითხე შენი გამოსალმება, _ წავიკითხე, მაგრამ წაკითხულის აქამდისაც არ მჯერა... ნუთუ მართლა შეუშინდი ჭიაჭუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი?.. განა წინადვე არ იცოდი, შენ დაადექ, ათასი ვაი-ვაგლახი ბეზღი, ცილი, ლანძღვა, თრევა დაგხვდებოდა ჯილდოდ შენ შრომისა და მოღვაწეობისა? ეგ ამბავი არ ახალია, ძველია, ვითომ რა გიკვირს, რომ მოსალოდნელი მოვიდა და რად გიხარიან, რომ იმდენი ძალა გქონია, რომ მკვდრებიც კი ააყენე... ექცევი რასა და ვისა? შენ ქვეყანას, შენ შრომას, შენ მეგობრებს და თანამოაზრეთა. რას შვრები რასა?.. თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ეგრე თამამად და უშიშრად იღვწოდი, დარჩი მაგ უბედურ ქვეყანაში. დარჩი და იშრომე _ და მხოლოდ ის გქონდეს ხსოვნაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შველა და არავის სხვასა; კვლავ მოჰკიდე ხელი შენს პატიოსან საქმეს..." და დიდი ნიკო დაუბრუნდა საზოგადოებრივ საქმეს.

დღეს ბიძინა ივანიშვილი დილემის წინაშე დგას. გააკეთოს სწორი არჩევანი! რას დავუტოვებთ ჩვენ _ ამჟამინდელ თაობას, მემკვიდრეობად ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს? ქყვეყანა მეტ რყევებს ვერ გაუძლებს. სამშობლო სერიოზულ განსაცდელშია.

დიდმა მამულიშვილმა _ დავით გურამიშვილმა თავის თავში აღმოაჩინა რწმენა გაუტეხელი ადამიანთა მოდგმის, ქართველობის, უკვდავების, (სიმართლე, "მართლის თქმა").

ღმერთო, გამოაჩინე ქართველი რომელიც ერის ტკივილს გააცნობიერებს და გაითავისებს!

გია ბოჭორიშვილი

P.S. მკითხველმა შესაძლოა იკითხოს, თავად რა გააკეთე? პასუხი: მკითხველს კიდევ ერთხელ გულისტკივილი გავანდე.

"შეთქმულება მომხმარებლის წინააღმდეგ"

ძალიან რთულია წარმოდგენა, თუმცა ფაქტია, რომ ადრეულ პერიოდში გამოშვებული ნათურების "სიცოცხლის" ხანგრძლივობა გაცილებით დიდი იყო, ვიდრე თუნდაც თანამედროვე პერიოდში გამოშვებულებისა. ეს კი თავის მხრივ, განსაკუთრებით იგრძნობოდა 1930-იან _ 1940-იან წლებში. მითითებულ წლებში ნათურების მწარმოებელმა მონოპოლისტურმა კომპანიებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, რომ მაქსიმალურად გაეზარდათ თავიანთი პროდუქციის გაყიდვების მაჩვენებელი, რის საფუძველზეც ჩამოყალიბებული იქნა პირველი საიდუმლო კარტელი, სახელწოდებით _ "Phoebus"-ი, რომელსაც უნდა დაეგეგმა და ხელოვნურად განეხორციელებინა ნათურების "სიცოცხლის" ხანგრძლივობის შემცირება. სწორედ აღნიშნული კარტელის უშუალო მონაწილეობის შედეგად იქნა ნათურის სამშუაო საათები კატასტროფულად შემცირებული. თუკი ადრე ნათურის სამშუაო საათი საშუალოდ 2 500 სამუშაო საათით განიზომებოდა, ახლა ამ მაჩვენებელმა 1 000 სამუშაო საათამდე დაიწია, რაც უფრო ცოტა ხნის განმავლობაში მუშაობს ესა თუ ის ნივთი, მით უფრო დიდია მათზე მოთხოვნილება", _ ეს ჭეშმარიტება საიდუმლო კარტელმა თავისი ქმედებით კიდევ ერთხელ დაადასტურა და ნათურების მწარმოებელ მონოპოლისტურ კომპანიებს უზარმაზარი მოგება მოუტანა. ნათურების მწარმოებელი ბიზნესი ყვაოდა მანამ, სანამ 1942 წელს არ გამოაშკარავდა მომხმარებლის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულება.

Genia.ge

იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე _ "ეპიზოდი"

ერთ-ერთი უდიდესი გერმანელი მწერალი, პოეტი და მოაზროვნე _ იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე (1749-1832 წლები) ხშირად ამახვილებდა ყურადღებას თავისი მეგობრის, "ევროპის კავშირის" (ევროკავშირის) ჰიმნის გერმანელი ავტორის _ ფრიდრიხ შილერის ერთ უჩვეულო თვისებაზე. კერძოდ, კი, იმაზედ, რომ დიდებულ გერმანელ პოეტს შთაგონებისთვის თავის სამუშაო კაბინეტში ყოველთვის ეწყო საწერ მაგიდაზე _ დამპალი ვაშლები. თუმცა იგი, არასოდეს ამახვილებდა ყურადღებას პირად უცნაურ თვისებებზე. მსოფლიო ლიტერატურის ტიტანს, რომელსაც საშინლად სძულდა ნიორის სუნი და ძაღლის ყეფა, არ ენდობოდა სათვალეებიან ადამიანებს, გაცივების შიშით უკიდურესად აფრთხობდა _ ორპირი ქარი. "ფაუსტის" შემოქმედი გენიოსი მუშაობას ისეთ გარემოში ანიჭებდა უპირატესობას, სადაც ფანჯრებზე მუქი ფარდები იყო დაშვებული და სადაც სუფთა ჰაერი თითქმის არ მოძრაობდა. პოეტს მანიაკალურად ეშინოდა ორპირი ქარის-თქო და როგორც შემდგომში აღმოჩნდა, არც თუ ისე ტყუილუბრალოდ... გოეთე გაცივების შედეგად განვითარებულ გრიპის ინფექციას ემსხვერპლა. ამ გარემოებათა გათვალისწინებით საყურადღებოა მისი უკანასკნელი ფრაზა: "გთხოვთ, დახურეთ ფანჯარა".

Genia.ge

სათანადო პატივი მამულიშვილებს

(ბატონ ვახტანგ ბალავაძის ცხოვრების ოცდაათწლეული)

თითქოს ახლახან იყო. სამტრედიამ და სრულიად საქართველომ ბატონ ვახტანგ ბალავაძის სახით სახელოვანი თანამემამულე და ღირსეული მამულიშვილი დაკარგა.

თითოეულ ჩვენგანში უდიდეს სიამაყეს აღძრავს ეპოქალური სპორტსმენის, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ევროპისა და საერთაშორისო ჩემპიონატების ჩემპიონის და არაერთგზის პრიზიორის, "ჩემპიონთა ჩემპიონის", "ჭიდაობის პროფესორის", როგორც მას ეძახდნენ, თბილისის და სამტრედიის საპატიო მოქალაქის, ბატონ ვახტანგ ბალავაძის ღირსეულად განვლილი გზა, მისი ადამიანური ღირსებები, მშობლიურ ღანირთან და სამტრედიასთან დაკავშირებული თბილი მოგონებები და ურთიერთობები. ის ხშირად სტუმრობდა მშობლიურ კუთხეს, სიყვარულით ეხმაურებოდა თავის სოფელს და ღანირის საშუალო სკოლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს; ესწრებოდა მისი გვარის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, დიდ მეცნიერთან, აკადემიკოს ბენედიქტე ბალავაძესთან შეხვედრას, სკოლისათვის მეორე მსოფლიო ომის გმირის, აკაკი ტერელაძის, სახელის მინიჭების ზეიმს, ღანირის დაწყებითი სკოლის 100 წლისთავის დიდ დღესასწაულს. როგორი ბედნიერი და ამაყი იყო ბატონი ეროსი მანჯგალაძის საღამოთი, რომელიც სოფელ ღანირში საერთო-სახალხო ზეიმად იქცა.

თავად ბატონი ვახტანგი არაერთგზის გახლდათ შეხვედრების გმირი, როგორც სასწავლო დაწესებულებებში, ასევე რაიონული მასშტაბით. მახსენდება, 1988 წელს, ეროსი მანჯგალაძის სახელობის სარაიონო კულტურის სახლში საზოგადოებრიობის შეხვედრა-დიალოგი ბატონ ვახტანგ ბალავაძესთან. ის ბრწყინვალე ორატორი გახლდათ. შთამბეჭდავი იყო მასთან ყოველი შეხვედრა. უფროს თაობას, ალბათ, ახსოვს სპორტის მუშაკთა ფართო წრეში მოქცეული უაღრესად ინტელექტუალური და მჭერმეტყველებით გამორჩეული პიროვნება ბატონი ვახტანგ ბალავაძე, რომელიც მათთან გულანთებული, ჩვეული პათოსით საუბრობდა სპორტის ახალ და საინტერესო მოვლენებზე. ის, მართლაც, ჭეშმარიტი სამტრედიელი იყო, ჩვენ ვალდებული ვართ, გავუფრთხილდეთ მის სახელს და სოფელ ღანირს. რომელმაც მასთან ერთად არაერთი ცნობილი მამულიშვილი გაუზარდა ქვეყანას.

ვახტანგ ბალავაძის სახელის უკვდავსაყოფად კი სასურველია, სოფელ ღანირში დაიგეგმოს და აშენდეს ახალი, თანამედროვე სტილის საჭიდაო დარბაზი. დარწმუნებული ვარ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ამ მიმართულებით გადადგამენ რეალურ ნაბიჯს და საზოგადოებას მიაწვდიან ინფორმაციას. არის სხვა გამოსავალიც. სამტრედიელებმა თავად ვიტვირთოთ და შეკქმნათ საინიციატივო ჯგუფი. სამტრედიას ჰყავს უკვე აღიარებული და ცნობილი ფალავნები, სპორტსმენების ძველი და ახალი თაობა, ბიზნესმენები, სპორტის მოყვარულები, მჯერა, საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონ გია მიქელაძის მხარდაჭერასაც მივიღებთ. აბა, დავფიქრდეთ, ვინ არ ისურვებდა ჩვენს ქალაქში ვახტანგ ბალავაძის ქუჩაზე ცხოვრებას?! ჰოდა, რას ველოდებით! ჩემი აზრით, გააზრებულ მიდგომას და მხარდაჭერას საჭიროებს სოფელი ღანირი. თუ ასე, ეტაპობრივად საერთო ძალისხმევას მივმართავთ მუნიციპალიტეტის დაბისა და თითოეული, სოფლისადმი ჩაყწვდებით არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზებს, ავაღორძინებთ კულტურის ცენტრებს, სათანადო პატივს მივაგებთ მამულიშვილებს. ამით დიდ საშვილიშვილო საქმეს გავაკეთებთ. სამტრედია ხომ სიყვარულის და მეგობრობის ქალაქია, დიდ მამულიშვილთა სავანეა.

2020 წელს სამტრედიელები ქალაქის 150 წლისთავს იზეიმებენ. დაე, ამ საერთო ზეიმის და გეგმის პირველი ნაწილი 2019 წლიდან იყოს მსოფლიოში აღიარებული ფალავნის, ბატონი ვახტანგ ბალავაძის, სახელის უკვდავყოფასთან დაკავშირებული სიტყვა და საქმე.

ნათელა გელეიშვილი

გულიკო წიქვაძე-ჩადუნელის გახსენება

"დარდმა ხორცი შემიჭამა, მიწა დამრჩა მშიერი" თქვა პოეტმა.

შენც ერთადერთი შვილისა და ერთგული მეუღლის ნაადრევად გარდაცვალებამ მოგისწრაფა ისედაც მოკლე წუთისოფელი. ექვს თვეში მოხდა ყველაფერი. ვითომ გაუძელი, მაგრამ...

თავს გევლებოდნენ შვილიშვილები, ახლობლები.

ჩვეულებრივ გათენდა 2019 წლის შობის ბრწყინვალე დღესასწაული. ნაშუადღევს კი ცად ამაღლდა შენი სპეტაკი სული.

შენი არყოფნიდან მეორმოცე დღე გადის.

ნათელში იყავით სამივენი.

ლენინა ლევანი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს იზა სანიკიძეს დედის, ქალბატონი ნათელას გარდაცვალების გამო.

მადლობა

უდიდესი მადლობა მსურს მოვახსენო ''ჯეო ჰოსპიტალსის'' მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის მედპერსონალს ჩემდამი გამოჩენილი თბილი დამოკიდებულებისთვის.

მარჯვენა დაგელოცოთ, დაე, ყოველთვის მხსნელად და მშველელად მოვლენოდეთ პაციენტებს.

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

პატივისცემით: მზია დარსაველიძე-შენგელია

ჩვენთვის გამოჩენილი განსაკუთრებული გულისხმიერებისა და მაღალპროფესიონალური მომსახურების გამო მადლობა მინდა გამოვუცხადო ''ჯეო ჰოსპიტალსის'' მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ქირურგს, ნუკრი ფახურიძეს, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმს, ნათია ნიკოლეიშვილს, ''ემერჯენსის'' განყოფილების ექიმს, ეთერ გრძელიძეს და ნევროპათოლოგებს თამარ ვაშაკიძეს და გურამ მშვიდობაძეს. და მთელს მედპერსონალს, ვინც დიდი დახმარება გაგვიწია.

პატივისცემით გრიგოლ დარჯანია

იდღეგრძელეთ!

ჩვენს გაზეთთან იმ დროიდან მეგობრობს, ''სოციალისტური შეტევას'' სახელით რომ გამოდიოდა. პირველი კორესპონდენცია ჯერ კიდევ მაშინ დაუწერია, როცა სკოლის მოსწავლე ყოფილა. 70 წელია, ძვირფას რელიქვიასავით უფრთხილდება რედაქციის მაშინდელ მესვეურთა ხელწერით დამშვენებულ გაცრეცილ დოკუმენტს, მის კორესპონდენტობას რომ ადასტურებს.

ვინ იცის, რამდენჯერ რამდენი საინტერესო სტატია გაშუქებულა ბატონი ბორისის მიერ ''სოციალისტურ შეტევაში'', ''წინსვლასა'' თუ ''სამტრედიის მაცნეში''. მეცხოველეობის, მეხილეობის, მებოცვრეობის. ერთი სიტყვით, აგრარული სექტორის შემდგომი განვითარებისაკენ რომაა მიმართული, რაც, მეცნიერულად უკვე ნაწრთობი და გამოცდილია. განუზომელია წვლილი ბატონმა ბორისმა რომ შეიტანა ზოოვეტერინარული ინსტიტუტის (შემდეგ აგრარული უნივერსიტეტის) იანეთის საცდელ-საყრდენი პუნქტის ხელმძღვანელად ყოფნის ნახევარი საუკუნის მანძილზე. პუნქტი კი კვალიფიციურ რჩევა-კონსულტაციებს უწევდა დასავლეთის რეგიონში მოქმედ უმსხვილეს მეურნეობებსა თუ ცალკეულ ფერმერებს, დაინტერესებულ პირებს.

საზოგადოებრივი დავალებების გარეშე არასოდეს ყოფილა საოცრად აქტიური კაცი.

წიგნი და წიგნისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი სწავლულ აგრობიოლოგს, რომელიც რამდენიმე წელია, დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება და ხანდაზმულობის წლებს ოჯახურ, მშვიდ გარემოში ატარებს.

კახიანების ღირსეული გვარის ღირსეულ წარმომადგენელს ოჯახიც ჩინებული ჰყავს. ხარობს შვილებითა და შვილიშვილებით. სამზეოდან წასული ერთგული მეუღლის მოგონება კი ახლაც ცრემლს ჰგვრის.

იუბილარია ამ დღეებში ჩვენი დიდი ხნის ერთგული მეგობარი, ბატონი ბორის კახიანი, კაცი, რომელსაც გულწრფელად უხარია ჩვენთვის და მისთვის ერთნაირად საყვარელი გაზეთის, მისი რედაქციის წევრთა წინსვლა, წარმატება.

გულწრფელად, პატივისცემით ვულოცავთ მას იუბილეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ კეთილისმსურველთა გასახარად!

ლევან გაბეჩავა

ბორის კახიანს!

დაბადების დღეს ვულოცავთ ბაშელების საამაყო სიძეს, ქალბატონი ნონას, ჩემი საყვარელი პედაგოგის მეუღლეს, ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას!

კეთილი სურვილებით და პატივისცემით ავთანდილ კაშია

სერგი რუხაძეს!

ღირსეულ ადამიანს, დიდ მეცენატსა და ქველმოქმედს, სამტრედიელთა საყვარელ პიროვნებას დიდი პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ სიკეთეს, უამრავ წარმატებას და ოჯახურ ბედნიერებას!

გფარავდეთ და გაძლიერებდეთ უფალი!

''სამტრედიის მაცნე''

ანატოლი (ტოლიკა) მესიაჩენკოს!

სამტრედიის ''ლოკომოტივის'' ყოფილ ფეხბურთელს, შესანიშნავ სამტრედიელს და ყველასათვის საყვარელ ფეხბურთელს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხნას სიცოცხლეს!

ვეტერანი ფეხბურთელები

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა